ანალები

8

თბილისი
1939

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

წელიწადი მეთექვსმეტე

8

19 ა გ ვ ი ს ტ ო / სახელგამი 39

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის 13,
შეერთიანებული სასახლე
ტ. 3-71-84

ადმინისტრაცია:
ტფილისი, კამოს ქ. № 40
სახელგამი
პერიოდიკატორი

პ/მბ. რედაქტორი — ალიო მაზაშვილი

პ/მბ. მდივანი — კონ. ლორთქიფანიძე

გადაეცა წარმოებას 7/X — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI — 39 წ. მთავლიტის რწმენებელი № ხ — 3363. შეკვეთა № 2303. ტირაჟი 6000.

სახელგამის ბეჭდვითი სტუდიის კომბინატი, ეკონომიკის ქ. № 5.

ალექსანდრე ამილახვარი

გეორგიანული ისტორია

მთარგმნელისაგან

ამ პოლიტიკური პამფლეტის ავტორი ალექსანდრე ამილახვარი მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-18 საუკუნის საქართველოში. თავის შამასთან—დიმიტრი ამილახვარსა და რამდენიმე სხვა ქართველ ფეოდალთან ერთად მან 1765 წელს მონაწილეობა მიიღო ერეკლე II-ის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში, რისთვისაც დასჯილ იქმნა იმით, რომ ცხვირი და ფეხის გული მოსჭრეს. 1771 წლიდან 1779 თუ 1780 წლამდე ის მოსკოვში ცხოვრობდა თავის მშობლებსა და ძმასთან ერთად. 1780 წ. იმერეთში მივიდა ჰეიდე სოლომონ პირველთან, რომელმაც ის ცნობილ პოეტ ბესარიონ გაბაშვილთან (ბესიკთან) ერთად ირანში გაგზავნა, რათა შირაზიდან ქართლის ტახტის პრეტენდენტი ბაქარის ძე ალექსანდრე ბატონიშვილი გადმოეყვანათ. მაგრამ ერეკლე მეფის თხოვნით ფატალი ხანმა იმერეთის მიჰვალილი ალექსანდრე ბატონიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი და მისი ძმა ეეგენი (თუ ტიმოთე) რუსებს მისცა, რომელთაც ეს უკანასკნელნი ციბოროგის ციხეში ჩასვეს, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი სმოლენსკის ციხეში დაამწყვდიეს, სადაც ის ვაჟდაიცვალა. თვით ალექსანდრე ამილახვარი ციხიდან განთავისუფლებული იქმნა ჭოლოდ 1792 წ., ცხრა წლის პატიმრობის შემდეგ.

თავის ტენდენციურობის მიუხედავად ეს პამფლეტი დიდად საინტერესო მასალას შეიცავს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს შესახებ. ის დაწერილია ან უკეთ ვთქვათ, გადათარგმნილია საკმაოდ დამახინჯებულ რუსულ ენაზე. მიძღვნილია „უგანათლებულესი თავადის, უმოწყალესი ხელმწიფის გრიგოლ ალექსანდრესძე პოტემკინისადმი“ და დაბეჭდილია პეტერბურგში 1779 წ. გარდა „გეორგიანული ისტორიისა“, ალექსანდრე ამილახვრის კალამს ეკუთვნის პატარა ავტობიოგრაფიული ზრიბა „კითხვა-მიგება“, პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი ალმოსავლეთისა“. რომელიც დაწერილია ქართულად დაახლოებით 1780 წ. და მიძღვნილია სოლომონ I-დმი. (დაიბეჭდა პირველად 1902 წ. „მოამბის“ № 2). ამ ტრაქტატს ნათლად ეტყობა ფრანგი ენციკლოპედისტების და ფიზიოკრატების, ხოლო განსაკუთრებით მონტესკიეს იდეების გავლენა. ავტორი გამოდის ე. წ. განათლებული აბსოლუტიზმის დამცველად: „თანასწორად ეშობილართ, და არავინ არს ღმერთმან ერთისა, არცა ვინ უარეს მეორისა, გარნა ყოველივე ერთისა გეამისა საერთოსა ასოდ“, ამბობს ის „გლეხთ ვანა მიწისმომქმედთა კაცთათვის“. — „ჰეი რა ზომ ბედნიერ არს და უმჯობეს სანატრელ მეფე, რომელმაც იცის ეფლება თვისი არა ესაძღვეროდ, და რომელი ბიიჩნევს მათცა თანასწორად თავის კაცთა, რომელთა მიჰსცეს მას ეფლება

თავსა ზედა თვისსა, და იქცევის მათთანა უმეტეს მჰსგავსად უხუცესისა ძმისა ვიდრე თავმოყვარისა მეფისა", ამბობს ის „მეფეთა მმართველობისათვის" თავის ტრაქტატის ნაწილში, რომელიც „სამოქალაქო ჰსჯულთა დადებას" შეეხება. ა. ამილახვარი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებს, „ეინხიდან ცოცხლისა სიკვდილი ყოვლისა კაცისა შესაძლებელი არს, და აღდგინებაი მისი არავისაგან". ბოლოს, მეცნიერების შესახებ ის გამოსთქვამს აზრებს, რომელიც დამახასიათებელია მე-18 საუკუნის განმანათლებლებისთვის: „სწავლა მეცნიერებისა არს გამანათლებელ თვალთა და გონებათა კაცთასა და მომპოვნებელი გზისა ოდესმე უზრდელობით შეცთომილისა".

ამ პროგრესიული და ჰუმანისტური იდეების მიუხედავად, ალექსანდრე ამილახვრის პოლიტიკური მოღვაწეობა მაინც საზარალო იყო ქართველი ერის ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან ის მიმართული იყო ერეკლე მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს კი ერთადერთი ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ჩვენი ერისთვის ხელმძღვანელობა გაეწია მისი ისტორიის ურთულეს პერიოდში, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

გეოგრაფიული ისტორია ჰაბუკ თავად ამილახვარზე,

რომელსაც იმ ძვეყნის მოკლე ისტორიის დართვით თავის ამხანაგებს უამბობს ანატოლელი ვაჭარი უსიმი

უგანათლებულესო თავადო, მოწყალეო ხელმწიფეე,
გრიგოლ ალექსანდრეს ძეე!

ჩვენს ძველებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომ თავიანთ შრომას ან ხელსაქმეს ისეთ ადამიანებს მიუძღვნიდნენ, რომელთაც გაეგებოდათ ამ ნივთების ფასი და მიმძღვნელის გულმოდგინება; მათი მაგალითის წაბაძულობით მე დღეს თქვენ უგანათლებულესობას, ეითარცა საუკეთესო მიმღებსა და უგონიერეს დამფასებელს, მიკუძღვნი ამ თხზულებას; მას შეუძლია თქვენი ნაცადი ცნობისმოყვარეობა გააღვიროს და ყურადღება მიგაქცევინოთ ზემოხსენებული უბედური თავადისადმი, რომელსაც თქვენი კაცთმოყვარეობისა და ძლიერების მფარველობის ქვეშ ეაყენებთ, როგორც უპირველესი ადამიანთა ხელმწიფის შემდეგ.

უგანათლებულესი თავადის, უმოწყალესი ჩემი ხელმწიფის უერთგულესი მიმძღვნელი ამ თხზულებისა

კომერციული საქმეების გამო ქალაქ ასტრახანში ვიმყოფებოდი. ერთხელ დილით ბინიდან გამოვედი; ქუჩებში სიარულის დროს ორ ჭაბუკს შევხვდი; ტანისამოსის მიხედვით შევატყვე, რომ ახლად ჩამოსული ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. მივესალმე და სადაურობა ვკითხე. მიპასუხეს იმერეთიდან მოვდივართო. ესაა საქართველოს ნაწილი, რომელიც ახლოსაა ჩემი სამშობლო ქალაქიდან. იქაური ამბების გამოკითხვა დავუწყე, ისინი დაუზარებლად მაძლევდნენ პასუხს. შემდეგ ეინაობის გაგებაც მოვინდომე, მაგრამ არ ვამჟღავნეს. მაშინ ჩემი საქმე გადავდე და ორივენი ჩემს ბინაზე მივიპატიჟე; იქ ამხანაგები მელოდნენ. უცნობნი დიდი გაკვირვებით დავაჯერე, რომ ჩვენთვის თავიანთი ეინაობა და ცხოვრების გარემოება ვაეცნოთ. გარეგნობაზე ეტყობოდათ, რომ

ქეთილშობილი და წარჩინებული ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. ეფესოსმა ძმამ, რომელსაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ალექსანდრე ერქვა, მითხრა: „მესმის, ძმებო, რომ ჩვენი ვითარების გაგება გსურთ: ვინ ვართ და ხალხად, ან აქ რად მოვსულვართ. მაგრამ მე არ მინდოდა ისეთი ამბების მოყოლით შემეძრწუნებინეთ, რომელიც თვით ქვის გულსაც კი მოალბობდა, ხოლო პატრიოსანი და გულთბილი ადამიანებისათვის მეტად მძიმე მოსასმენია. მაგრამ რადგან არ დაგიშლიათ, ჯერ მოკლეთ ჩემი სამშობლოს ისტორიას გიამბობთ, რაც მახსოვს და რაც საჭიროა ჩვენი პირადი თავგადასავალისა და ჩვენი ახლანდელი შეჭირვებული მდგომარეობის გასაგებად...[1]

როსტომ მეფეს, რომელიც ქართლ-კახეთში მეჩვიდმეტე საუკუნეში მეფობდა, პირდაპირი მემკვიდრეობა არ ჰყოლია და სამეფო ტახტი თავად მუჩრან ბატონს უანდერძა, თავისივე გვარის უმცროსი შტოს წევრს, რომელიც ვახტანგ მე-5 ანუ შაჰნავაზის სახელწოდებით დაეუფლა სამეფოს დაჭაქულ ნაწილებს; მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს საბეფო ხელახლა დაიქსაჭა. ვახტანგ V ჩემი პაპის მამა იყო დედის მხრით. მისი უფროსი ვაჟი იყო არჩილი, რომელიც რამდენჯერმე იჯდა კახეთისა და იმერეთის სამეფოების ტახტზე, ხოლო შემდეგ თავისი მამის სიცოცხლეშივე რუსეთში გადმოსახლდა. არჩილის ერთი ძმა გიორგი მე-11 სახელწოდებითაა ცნობილი, მეორეს ლევანი ერქვა. ლევანის შვილები იყვნენ ხოსრო ხანი და ვახტანგ მე-6, ბრძენი და ხალხის საყვარელი მეფე, რომელიც შვიდს წელიწადს სპარსეთში ჰყავდათ დატყვევებული, რადგან არ დაჰგმო ქრისტეს სჯული. სპარსელები კი საქართველოს დაპყრობის შემდეგ არაფის სამეფო ტახტს არ უმკვიდრებდნენ მაჰმადიანობის მიუღებლად. ვახტანგის მაგივრად ორს წელიწადს მისმა ძმამ იესემ იმეფა, ხოლო ხუთს წელიწადს მისმა ვაჟმა ბაქარმა.

როცა თურქებმა და სპარსელებმა ჩვენი ქვეყანა გაიყვეს, ოთხი პროვინცია, სახელდობრ იმერეთი, ძველი კოლხეთი, სამცხე და ჯავახეთი, — თურქებს ერგოთ, ხოლო ოთხიც, სახელდობრ ზემო ქართლი, კახეთი, სომხეთი და გარდაბანი სპარსელებს. მართალია საქართველოში მეფის ლირსება არ მოსპობილა და თავადებიც თავიანთ მამულებს მემკვიდრეობით ჰფლობდნენ, მაგრამ ყოველი დიდი საქმე შაჰსა და სულთანზე იყო დამოკიდებული. კერძოთ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები და დიდგვარიანი თავადები სპარსეთის შაჰს აწვდიდნენ სათანადო ცნობებს და შაჰი მათ მფლობელობას ამტკიცებდა ამ ცნობების მიხედვით.

გადასახადს სპარსელები ჩვენში კომლზე მარჩილს (ე.ი. 60 კაპეიკს) ღებულობენ: ამ ფულით შვიდი ვაჟი ან ქალი უნდა იყიდონ და სპარსეთის შაჰს გაუგზავნონ შვიდ წელიწადში ერთხელ: ჩვენი ჯარის ერთი ნაწილიც ყოველთვის სპარსელებთან უნდა იყოს მორიგეობით. სამაგიეროდ მეფე და უწარჩინებულესი თავადები ყოველწლიურად დიდ ძღვენს ღებულობდნენ შაჰისაგან. სხვათა შორის ფრთებით შემკულს ქუდს, რომელსაც თოშარი ჰქვია, როცა ოი მეფეს ეკუთვნის, ხოლო თაჯი, რომელიც თავადიშვილებისთვისაა დანიშნული.

---

[1] [illegible] ორიგინალის 20 გვერდი, სადაც ამოლაჯანურს მოთხრობილი აქვს საქართველოს ისტორია ეფესელ დროიდან როსტომ მეფემდე. [illegible]

ჩვენ შეეჩერდებით ქართლის სამეფოზე, რომელშიც ჩვენი გვარი დარჩა: დიდგვაროვანი თავადებიდან ოთხი ოსმალეთის მხარეზე დარჩა, ხოლო ოთხიც სპარსეთისაზე. ამ გვარეებიდან ერთი ჩვენია.

მას შემდეგ, რაც ქართლის მეფეს კახეთის და გარდაბანის პროვინციები ჩამოშორდა, მას მხოლოდ ორი და შერჩა ზემოჩამოთვლილი რვა პროვინციიდან, თითო მათგანი ორადაა გაყოფილი, ასე ორის მაგიერად ოთხია შექმნილი. პირველი ნაწილი განიყოფება ორ პროვინციად. ზემო და ქვემო ქართლად. ზემო ქართლი შეადგენს სამფლობელოს ამილახვრებისა და სხვა თავადთა გვარებისა, სახელდობრ: 1. აბაშიძეებისა, 2. ფალავანდიშვილებისა. 3. ხერხეულიძეებისა, 4. დავითაშვილებისა, 5. ამირეჯიბებისა. 6. აკალიშკილებისა, 7. ხიდირბეგიშვილებისა. 8. მზეიძეებისა, 9. დიასამიძეებისა, 10. სიამარადაშვილებისა, 11. თაქთაქიშვილებისა. 12. შალიკაშვილებისა, 13. მაჩაბლებისა, აქვეა საბატონო მეფის მეშკვიდრისა, რომელიც ამილახვრების სარდლობის ქვეშ უნდა იყოს ომების დროს.

ამაღე პროვინციაში მთავარი ქალაქებია. გორი, ცხინვალი, სურამი და ალი.

აქვეა ოთხი სამღვდელოთმთავარი. ხოლო მეხუთე განსაკუთრებით ამილახვრების მფლობელობის ქვეშაა: ამილახვრებს აგრეთვე მრავალი აზნაურთა გვარი ჰყავს ყმად, და მთელი ეს პროვინცია ამ თავადისაგანაა დამოკიდებული. დღემდე იქ ჩვენი გვარიშვილი ბატონობს: და სწორედ ამით ვართ ჩვენ ეუბედურნი ჩემი მამითურთ, რომელიც დღემდენ ამ ორივე საერისთავოს მფლობელი.

ქვემო ქართლს შეადგენს არაგვისა და ქსნის საერისთაო (ბალი სახელწოდება მდინარე არაგვისა და ქსნისაგან წარმოსდგება) და მცირე სამფლობელო თავადი მუხრან ბატონისა, რომელიც აგრეთვე ორივე ერისთავის სარდალია.

ქართლის მეორე ნაწილიც ორ პროვინციად იყოფა. პირველს სომხითი ჰქვია და თავად ორბელიანებისა და სხვა მის ხელქვეით თავადების საბატონოს წარმოადგენს, სახელდობრ: 1. ბარათაშვილებისა. რომელნიც ორბელიანებისაგანვე წარმოსდგებიან. 2. მელიქიშვილებისა. 3. ზურაბიშვილებისა. 4. იარალაშვილებისა. 5. სოლოლაშვილებისა. 6. ყარაბუდალაშვილებისა. აგრეთვე სხვა და სხვა აზნაურებისა. რომელნიც მათი ყმები და ხელქვეითნი არიან; აქ ოთხი სამღვდელოთმთავარია, ხოლო მეხუთე განსაკუთრებით ორბელიანების მფარველობის ქვეშ იმყოფება. მთელი ეს პროვინცია წინათ ამ თავადისაგან იყო დამოკიდებული, ეხლა კი იქ არც ერთი სოფელი არაა დარჩენილი დაურბეველი, და მთელი მოსახლეობა შემუსვრილია: ყოველივე ეს მოხდა ახლანდელი მეფის დროს. მანამდე საქართველო აყვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა: ყოველ თავადშვილს შეეძლო თავისი სამფლობელოდან ბრძოლის ველზე ათიდან ცამეტი ათასამდე ჯარის კაცი გამოეყვანა ალაფითა და საჭურველითურთ (ვინაიდან მეფე არავითარ ხარჯს არ იძლევა ჯარისათვის. იგი იძულებულია თავადებს სთხოვოს. ჯარები შეჭურვილი და მომარაგებული გამოიყვანონ). დღეს კი მთელ ქვეყანას ხუთი ათასი მეომრის შენახვაც კი არ შეუძლია; წინაური შუელლისა და რბევის წყალობით მოსახლეობის ერთი მეოცდაათედიც კი ვერ გადარჩა. ჩვენი ახლანდელი მეფე სცდილობს, რომ ქვეყანა დააუძლურის და შუელლით გასთიშოს, რათა იგი ტახტიდან არ ჩამოაგდონ მისი ბოროტმოქმედებისათვის; ამისა და ყოველივე ჩემ მიერ თქმულის დასადასტურებლად ვიმოწმებ ყველა პატიოსან თანამემა-

მეულეს, რომელნიც მიცნობენ; ხოლო როგორ დაეპატრონა იგი სამეფოსა და რა მიზეზით, ამის შესახებ ქვემოთ იქნება ნათქვამი.

ოთხი პროვინცია, რომელიც გამოყოფილია სომხითად წოდებული ნაწილიდან, შეადგენენ ციციშვილების, ჯავახიშვილების, თარხან მოურავების, საქართველოს პატრიარქის და სხვადასხვა აზნაურების სამფლობელოს. ამ პროვინციებიდან ომის დროს თავადმა ციციშვილმა უნდა მოაგვაროს და გამოიყენოს ჯარი, რომელსაც თვით მეფე სარდლობს.

როცა ოთხივე სალრეშოს ჯარი თავიანთი სარდლების წინამძღოლობით სალაშქროდ გამოდიან, პირველად მიღებული წესის მიხედვით, წინ თავადი ორბელიანი მიდის თავისი ჯარითურთ, მარჯვენა ფრთა თავად ამილახვარს უჭირავს, მარცხენა თავად მუხრან ბატონს, ხოლო შუაგული მეფეს.

ამ სარდლების ხელისუფლება თავიანთი ჯარების მიმართ მეტად დიდია, განსაკუთრებით ლაშქრობის დროს თვითეულმა მეომარმა ნამდვილად ერთი მეხუთედი სარდალს უნდა მიართვას.

სამართლის წარმოება ყოველ პროვინციაში ადგილობრივი მფლობელების ხელშია; ხოლო როცა ვინმე მათი უკმაყოფილოა, საერთო მსაჯულებს უნდა მიმართოს, რომელნიც სატახტო ქალაქ ტფილისში სხვადან მეფესთან ერთად და სპარსულად მდივანბეგებად იწოდებიან.

ამ თავადთა გვარებს ეს წარჩინებული ხარისხი და სამკვიდრო არავითარი შეცოდებისთვის არ ერომევათ; როცა რომელიმე მათგანი დანაშაულს ჩაიდენს, მას სხვა თავადების შეთანხმებით მეფესთან და სპარსეთის შაჰის დასტურით გადააყენებენ ხოლმე და მის ადგილას იმავე გვარიდან სხვა ვისმე დასვამენ, ვისაც უფრო შეეფერება ეს ღირსება.

ოთხი დიდგვაროვანი თავადის სამკვიდრო ძველიდანვე დღემდე არ იყოფება ოჯახის შორის; მთელი გვარი ერთად ცხოვრობს და დამოკიდებულია გვარის უფროსზე, ვინაიდან ქართველებს შორის მეტს პატივს სცემენ განუყოფელ გვარს; ხოლო გვარის უფროსი, რომელიც მართავს და განაგებს თავის სამკვიდროს, მეხუთედ ნაწილს ჰკრეფს თავისი ქვეშევრდომებისგან, და თავის ძმებს უნაწილებს უცილობლად.

აზნაურებს, რომელნიც ამ თავადების ქვეშევრდომნი არიან, სხვადასხვა სამსახური აქვთ დაკისრებული თავიანთი პატრონების კარზე; ისინი არც მეფისგან რჩებიან უპატივცემულონი და დარბაზობის დროს მეფის მახლობელთა გვერდით სხდებიან; ერთი სიტყვით, ეს თავადები მეფეს ყოველი იძულების გარეშე ემორჩილებიან, ნებისყოფლობით, ხოლო როცა ისინი ერთმანეთში შეთანხმებული არიან, მეფეს ადგილობრივი სამართლისა და ადათის მიხედვით არაფრის გაკეთება არ შეუძლია მათ დაუკითხავად...

მე თქვენ გიამბეთ, ძმებო, ჩვენი ქვეყნის წინანდელი და ახლანდელი ზნეჩვეულება და მდგომარეობა, რათა თქვენ უკეთ გაიგოთ ჩვენი ტბელური თავგადასავალი.

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენი ქვეყანა გაყოფის შემდეგ წილად ხვდა სპარსეთის შაჰს, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი; მაგრამ ეახელი, რომელიც ჩვენთან ერთად სპარსელებს ერგო, გამოეთიშა ჩვენს ქვეყანას, მას თავისი მეფე ჰყავდა. ქართლის სამეფო ხშირად ცდილობდა ეახელების დამორჩილებას და იბრძოლა ეიდეც მათ, მაგრამ სპარსელების დახმარებით ისინი ხელახლა გვეთიშე-

ბოდენ. და სხვათა შორის, მრავალი მეფე გამოიცვალეს; მათ არ შეეძლოთ ჩვენთვის წინააღმდეგობა გაეწიათ თუ სპარსეთის შაჰი არ აემხედრებინა ჩვენს წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა უკანასკნელი კანონიერი მეფის ვახტანგის დროს, რომელსაც არ უნდოდა მაჰმადის სჯული მიეღო და ყველა თავადების დაჯერებით დიდი წინააღმდეგობა გაუწია და შეებრძოლა სპარსეთის შაჰს.

ამავე დროს სპარსეთში იმყოფებოდა კახთა ბატონის ერთი უკანონო შვილი, სახელად კონსტანტინე, რომელიც მაჰმადიანურ სჯულზე იზრდებოდა. მან შაჰს ჯარი გამოსთხოვა, რათა სპარსელებისთვის ხელახლა დაეპყრო საქართველო, და შაჰმაც ეს ჯარი მისცა; კონსტანტინემ საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა, მაგრამ ქართველებმა იგი სასტიკად დაამარცხეს თავიანთი ჩვეულებრივი სიმამაცით და მთელი არტილერია და პანაკი წაართვეს, ისე რომ თვით კონსტანტინე სამი კაკუთურთ ძლივს გადარჩა და ლეკებთან გაიქცა.[1] რათა მათთვის დახმარება ეთხოვა; იგი შაჰთან ველარ გამოჩნდებოდა, რადგან მისი ჯარი დალეწა. ამიტომ დაიწყო ლეკების წაქეზება; ალუთქვა სამი დღის განმავლობაში მოგცემთ სატარტო ქალაქს ტფილისის რბევის უფლებასო. ლეკები დათანხმენ ამ ავაზაკურ ხელშეკრულებას, მოულოდნელად შემოიპარნენ და ღამით თავს დაესხნენ ჩვენს ჯარს, რომელიც ქალაქს გარეთ იყო დაბანაკებული. ისვენებდა მტერზე მიღწეული გამარჯვების შემდეგ და არავითარ საფრთხეს არ ელოდა; ამიტომ იგი ისე დამარცხდა, რომ ვერავინ ვერ მოასწრო ვერც ცხენზე შეჯდომა, ვერც იარაღით აღჭურვა; აქ ებრალო ჯარისკაცებს გარდა მრავალი დიდგვაროვანი პირი დაეცა, სხვათა შორის ჩემი პაპაც თავისი ღვიძლი ძმით, ორი თანამეგვარითა და ოცდაათის საკუთარი ყმა აზნაურითურთ; სრულიად შეწესვრილი იქნა აგრეთვე პაპაჩემის ჯარიც, რომელსაც არ უნდოდა მტრის ხელში ცოცხლად დაეტოვებია თავისი ბატონი.

ამის შემდეგ მამაჩემი ობლად დარჩა ოთხი წლის ასაკში და აღზრდილ იქნა დაქვრივებული დედის მიერ დიდს შიშსა და დიდ შეკიწროებაში მტრის მხრით, რის შესახებაც ქვემოთ ვიტყვით.

მაშინ ჩვენმა მეფემ, რომელმაც დაინახა, რომ ქართლი დარბეული და შეკიწროებულია სხვადასხვა მტრების მიერ, რომ არც ერთი წარჩინებული თანაშეშწე ალარ შერჩა (ის დიდათ სწუხდა პაპაჩემისა და მისი ძმის სიკვდილის გამო, ვინაიდან ისინი მისი ნათესავებიც იყვნენ და დიდი ერთგულნიც), წინააღმდეგობა ველარ გაუწია ამდენ მტერს და მთელი ქართლი თურქეთის სულთანს მისცა, რათა იგი სპარსელებსა და კახეთის მფლობელებს არ დარჩენოდა, ხოლო თვით რუსეთში გადაასახლდა თავისი და სხვა თავადების ოჯახებითურთ, რომელთაც მოისურვეს მასთან ერთად გადასახლება და რომელნიც დღესაც რუსეთში არიან.

თურქები დაეუფლენ ჩვენს ქვეყანას, დაიჭირეს კახთა ბატონი, თავი მოსჭრეს მას და თვით გატეხილი სულთანს გაუგზავნეს; ამის შემდეგ თურქებმა ომი აუტეხეს სპარსელებს და მრავალი ქალაქი წაართვეს მათ, ვინაიდან სპარსელები დიდად დაუძლურდნენ ავღანელი ხალხის წყალობით; თვით შაჰების ძველი

[1] ლეკები წინათ საქართველოს სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ, მაგრამ ამჟამად ჩვენი ქვეყნის დანაწილებისა და ძლურების გამო გამოგვიცვლიეს და საშინლად ყაჩაღობენ ჩვენსავე მამულებში; ეს მათ შეაჩვია კონსტანტინემ, რომელსაც მისი ძმის წულიც არ ჰამორჩება იმ მხრივ, რომ საქართველოს ლეკებს აიბეერებს თავისი სარგებლობისა და ინტერესისთვის.

გვარი მოისპო: ავღანელთა მთავარი დაეპატრონა სპარსეთს, [illegible] ყაცი დახოცა შაჰის ოჯახიდან, ხოლო შემდეგ თვით შაჰიც მოჰკლა. ამის შემდეგ ავღანელები სპარსეთს ფლობდნენ, შვიდი წლის განმავლობაში, ე. ი. თამაზ ყული ხანის გამოჩენამდე, რომელიც, როგორც ისტორია გადმოგვცემს, უბრალოდ მწყემსიდან შაჰად იქცა. ამ შაჰის ტახტზე ასვლამდე ჩვენს ქვეყანას თორმეტი წლის განმავლობაში თურქები ჰფლობდნენ, მეფის ადგილს ჩვენში სამთავროანი ფაშა იჯდა, ხოლო თავადები თავიანთ მამულებს განაგებდნენ ჩვეულებისამებრ. ჩვენი გვარის მეთაური პაპაჩემის შემდეგ მისი ძმისწული იყო, სახელად გივი.

სპარსეთის ტახტზე ასვლის შემდეგ თამაზ ხანმა ნადირ შაჰის სახელწოდება მიიღო. საქართველოში მოვიდა და თურქებს ბევრი ნაართვა ჩვენი სამეფო და სხვა ადრინდელი სპარსული პროვინციები. მან ჩვენს სატახტო ქალაქს ტფილისში ჩვიდმეტი დღე დაჰყო, მფლობელობის უფლება დაუმტკიცა თავადებს და ყოველივე ძალმოძრეობა აღკვეთა. სხვათა შორის ქრისტეს სჯულის დევნაც; იგი დარწმუნებული იყო, რომ წინანდელი შაჰების დამხობის მიზეზი იყო საქართველოს ამბოხება სპარსეთის წინააღმდეგ. ქრისტეს სჯულის დევნის გამო, რომ ამ მიზეზის წყალობით ქართველებმა, ბევრი თხოვნის მიუხედავად, სპარსელებს უარი უთხრეს დახმარებაზე ავღანელების წინააღმდეგ. ნადირ შაჰმა ტფილისში მეფის მაგივრად სპარსელი ხანები დააყენა, რომელნიც ხშირად იცვლებოდნენ ქართველების თხოვნის თანახმად; ერთხანს ორი ქართველი თავადიც იყო ხანად, ერთი ორბელიანი და ერთიც ამირეჯიბი, ორივენი სპარსეთში იყვნენ აღზრდილი შაჰმადის სარწმუნოებაში; თავი და თავი ისაა, რომ თავადებს არ სურდათ ერთმანეთისთვის სამეფო დაეთმოთ, ამიტომ ხანად უცხოელს ირჩევდნენ, თავიანთ მამულებს კი წინანდებურად ჰფლობდნენ.

ტფილისის ციხეებში ნადირ შაჰმა თავისი მეცხრამეტე ჯარი და ცხენოსანები დააყენა. ქართველი ჯარი თავისს შეუერთა და თურქების წინააღმდეგ გაილაშქრა. განელო რამდენიმე წელმა და კახეთიდან მოვიდა ქართლის მეფის ასული თამარი (რომელიც ჯერ კიდევ თავის მამის ვახტანგ მეფის სიცოცხლეში მისთხოვდა კახეთის მფლობელს თეიმურაზს. ჩვენი ქვეყნის ამკლებელის, ზემოხსენებული კონსტანტინეს ძმას: ეს თეიმურაზი შემდეგ ამ დაქორწინების წყალობით ქართლის მეფე გახდა, მაგრამ მისმა შვილმა ერეკლემ მოტყუებით რუსეთში გაგზავნა, სადაც გარდაიცვალა). თამარმა ეწარჩინებულეს თავადიშვილებს სთხოვა, ნება მომეცით სამეფოს მართვა-გამგეობა ვიკისრო, სანამ რუსეთიდან ჩემი ქმები დაბრუნდებოდნენო. ჩემი ქმარი და შვილი არ ჩაერევიან მმართველობის საქმეებშიო; თამარმა იცოდა, რომ ქართველები, განსაკუთრებით ჩვენი გვარის წევრები, წინააღმდეგნი იყვნენ მისი ქმრისა და შვილისა.

მაგრამ ამ ქალმა თავისი მოხერხებული თხოვნითა და ალერსით ყველა დააჯერა, რომ შაჰისადმი მისი მმართველად დაყენება ჩაეკონებინა. იგი გაემგზავრა სპარსეთში, სატახტო ქალაქ ისპაჰანში და შაჰს სთხოვა, ნება მომეცი ჩემს ძმებს შენი და ჩემი სახელით მივწერო სამშობლოში დაბრუნდნენ და წინანდებურად იმეფონ სჯულის გამოცვლელადო; ხოლო მათ დაბრუნებამდე, ქართლს მმართველი მე ვიქნებიო; რადგან შაჰმა თავადების თანახმობით თამარს ამის ნება დართო, ის ქართლში დაბრუნდა და მმართველი გახდა; მაგრამ მშვიდობიანობა ძნელად ერთ წელიწადს გაგრძელდა.

იმ ერთი წლის დასრულების შემდეგ მამაჩემსა და ბიძაჩემს აკანონებენ, რომ თქვენ მოსაკლავად ლეკები არიან მოსყიდულნიო. ლეკები მართლაც თავს დაესხნენ ტფილისიდან თავის მამულში მიმავალ მამაჩემს, მაგრამ იგი გადარჩა. მ აზნაურებისა და შინაყმების ვაჟკაცობის წყალობით, რომელნიც მას ახლდნენ და რომელთაგანაც მრავალი დახოცილი, დაჭრილ და გაძარცულ იქმნა ავაზაკების მიერ. ამის შემდეგ ნაძარცვი ტფილისში გაჰყიდეს; გამყიდველებს შორის აღმოჩნდნენ ქართველებიც, რომელნიც აგრეთვე მოსყიდულნი ყოფილიყვნენ მამაჩემსა და ბიძაჩემზე თავლასხმის მოსაწყობად; მტრებს ისინი სახიფათოდ მიაჩნდათ, ვინაიდან მათ შეეძლოთ ხელი შეეშალათ უკანონო ხელისუფლებისთვის; საქმე ისაა, რომ ჩვენი წინაპრები ყოველთვის კანონიერი ტახტის მემკვიდრეების მხარეზე იდგნენ. ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდნენ ქვეყნის არაჭკვიანურ პატრონებსა და მძარცველებს და საშშობლოსთვისაც თავს სწირავდნენ, რის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

როგორც კი მამაჩემმა და ბიძაჩემმა შეიტყვეს, რომ თამარ დედოფლის ქმარსა და შვილს რალაც იდუმალი განზრახვები ჰქონდათ, ისინი მათ გაუდგნენ და თავიანთ სამკვიდროს გარდა ქართლის სხვა ნაწილებსაც დაეპატრონენ, ისე რომ სატახტო ქალაქს გარდა თამარ დედოფალს არაფერი შერჩა; ამის შემდეგ მამაჩემმა და ბიძაჩემმა მოციქულები გაგზავნეს რუსეთში ქართველ ბატონიშვილებთან, რათა ისინი იქიდან საქართველოში დაბრუნებულიყვნენ; მაშინ მამაჩემსა და ბიძაჩემს ჯერ კიდევ იმდენი ძალა შესწევდათ, რომ შეეძლოთ თავიანთი კანონიერი მეფე დაემკვიდრებინათ და მისთვის დაემორჩილებინათ ნეული ქართლი, რომელსაც მაშინ უკანონო მმართველები ჰფლობდნენ; მაგრამ არ ვიცი რა მიზეზის გამო, ჩვენმა უფლისწულებმა ვერ შესძლეს რუსეთიდან წამოსვლა. ჩვენებს კი ბრძოლის დაწყება მოუხდათ სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ, რომელმაც თამარ დედოფლისა და მისი ქმარშვილის ჩაგონებით ჯარი შემოვესია. ჩვენებმა თურქებს მიმართეს, რომელთაც ჯერ კიდევ უთანხმოება ჰქონდათ სპარსელებთან, ამიტომ ძალით ვერაფერი წაგვართვეს, ვერც მათ და ვერც სპარსელმა ჯარებმა.

ნადირ შაჰმა იფიქრა, რომ ამილახვრების ამბოხების გამო შეიძლება მთელი ქართლი დამეკარგოსო და თავის სარდალს მისწერა ზაეი ჩამოაგდე ამ თავადებთან, ხოლო კახთ ბატონი მათ საქმეებში ნუ ჩაერევაო. დაპეზლების მიუხედავად სპარსეთის შაჰი დარწმუნდა, რომ მამაჩემსა და ბიძაჩემს უსამართლოდ ექცეოდნენ და ამიტომ ბრძანა, მათ ნება მიეცით თავიანთი ადგილ-მამულით ისარგებლონ. ხოლო მათი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეთო. ამას მამაჩემი დაეთანხმა თავისი აზნაურების რჩევით, რადგან ალარ შეეძლო ასეთი ძლიერი ხელმწიფის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორიც ნადირ შაჰია. მან წერილი მისწერა თავის ძმასაც, რომელიც მეორე პროვინციაში იმყოფებოდა. მაგრამ ბიძაჩემმა არ ისურვა შერიგება თუ თვით თამარ დედოფალი არ შეეფიცებდა. მას ეშინოდა არ მიღალატონ და სპარსეთის შაჰს არ მიმცენო: თუ ფიცს დასდებთ, გამოვალ, თუ არა და ჩემს სამკვიდროში დავრჩები, რამდენიც უნდა მებრძოლოთო.

საქმე ისაა, რომ ბიძაჩემს გიორგი ამილახვარს, თავისი საშშობლოსა და ერის სასარგებლად წინადაც დიდი შეტაკება მოუხდა სპარსეთის შაჰთან, როცა მან თავის ბანაკში ქართლ-კახეთის დიდებულნი მიიწვია თეიმურაზ მეფესთან ერთად და დაატყვევა ისინი, რათა უმეთაურებოდ დარჩენილი ქართველობა აეყარა და

სპარსეთში გადაესახლებია, ხოლო მის ადგილას სპარსელობა დაესახლებია; ამით შაჰს უნდოდა თავისი სახელმწიფო სრულიად უზრუნველეყო საქართველოს მხრით; ბიძაჩემმა, რომელიც სხვებთან ერთად იყო დატყვევებული ეს ამბავი გაიგო, დიდი გაჭირვებით და მოხერხებით გამოეპარა მცველებს და მთელი ქართველობა კავკასიის მთებში გახიზნა, სადაც ძნელია ჯარით შესვლა, ხოლო თვით მსუბუქად შეიარაღებული რაზმებით ამ მთების ძირში დარჩა; მას ფეხდაფეხ მოჰყვა სპარსელების ჯარიც. მაგრამ იგი იძულებული გახდა ჩქარა უკან დაბრუნებულიყო ხელცარიელი; რაკი შაჰი დარწმუნდა, რომ მისი განზრახვა ვივი ამილახვრის გულმხურვალე მამულიშვილობის წყალობით გაცუდდა, სხვა თავადიშვილებიც გაანთავისუფლა ტყვეობიდან და დაუწყო მტკიცება, მე სრულიადაც აზრად არ მქონია ისე მოვჭრულიყავი, როგორც თავადი ამილახვარი მწამებს, მხოლოდ ახალი ხელშეკრულების დადება მსურდა თქვენთანო. ამის შემდეგ ისინი დაასაჩუქრა და თავიანთ მამულში გაისტუმრა, ხოლო თავისი სტუმართუხუცესი, რომელსაც ამ თავისებური სტუმრობის დროს მათი დაცვა ჰქონდა მინდობილი, ჩამოალჩო.

ამ ამბის მოლებისთანავე დედოფალი თვით გაემგზავრა ჩემს ბიძასთან, რომელმაც იგი დიდი პატივით მიიღო და თავისი მკერდიდან მოხსნილი ცხოველმყოფელი ხის ჯვარი აჩუქა, პატრონსანი თვლებით შემკული; სთხოვა ფიცის დადება, რომ მას ღალატით არას ავნებდენ. დედოფალი დათანხმდა. შეჰფიცა და ამ გზით იგი ხელახლა შემოიმტკიცა და სპარსელებსაც შეარიგა. მამაჩემმა და ბიძაჩემმაც თავიანთ მხრით ხელი მოაწერეს ზავის პირობებს, რის შემდეგაც მათ სპარსეთის შაჰის ბრძანებით კახეთიდან უკან დაუბრუნდათ ლტოლვილი გლეხები, სამი ათასამდე სული, რომელნიც მათ ხელახლა თავიანთ ადგილმამულში დაასახლეს.

დედოფალთან დაზავების შემდეგ მამაჩემი, რომელიც ამ დროს ოცდაორი წლის ჰასაკში იყო, თავის სამკვიდროში დაბრუნდა, ხოლო ბიძაჩემმა სახლთუხუცესობა მიიღო. სახლთუხუცესი დიდი ხელისუფალია მეფის კარზე, იგი სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს განაგებს, რისთვისაც თავის სარგოს ერთ მეათედს ღებულობს. ეს ხელთუფლება ბიძაჩემის შემდეგ ერთხანს მამაჩემსაც ეჭირა.

მაგრამ განვლო ორიოდე თვემ და სპარსეთიდან ფარულად ორი ხანი მოვიდა ტფილისში, მათ თამარ დედოფალს შაჰის სახელით ბიძაჩემის გაცემა მოსთხოვეს. დედოფალმა უპასუხა, მე არც შაჰის მოთხოვნაზე უარის თქმა შემიძლია, არც ამილახვრის გაცემა, ვინაიდან ჯვარზე შევფიცე: მიდით და საქმე თვით თქვენ მოაგვარეთო, ხანები მართლაც მივიდნენ ბიძაჩემთან, რომელმაც ისინი როგორც ძველი ნაცნობები და მეგობრები კარგად მიიღო, ორივე მხრიდან გვერდში ამოუდგენ მას. ცერებზე ხელები მოჰკიდეს სპარსთა ჩვეულების მიხედვით და ტირილით შაჰის ბრძანება აცნობეს.

ბიძაჩემმა დაინახა, რომ აღარაფერი ეშველებოდა, ფეხზე წამოდგა, გულზე ხელები დაიკრიფა და წარმოსთქვა: — აღსრულდეს დიდებული შაჰის ნება მის ფერხთა მტვერზე, მის უმორჩილეს მონაზეო. მან იცოდა, რომ ნებაყოფლობით დამორჩილებული სპარსელები ჩვეულებრივ ლეგრო

-ობიერად ეპყრობიან.

ხანებმა ნადირ შაჰის ბრძანების თანახმად ბიძაჩემი ციხეში ჩასვეს და გუშაგი მიუყენეს, სანამ სპარსეთში წაიყვანდნენ; მან ციხიდან წერილი მისწერა

დედოფალს და სთხოვა, რადგან ფიცი გასტეხე, უკანასკნელი წყალობა მაინც მიყავი, თვალები დამთხარე და შაჰს გაუგზავნე. ხოლო მე თუნდ ერთ ცოცხალმკვდარი ჩემს საშშობლოში დამტოვეთ: იგი დარწმუნებული იყო რომ რაგორც შაჰის მოწინააღმდეგეს, სპარსეთში სიკვდილი ელოდა; მაგრამ დედოფალი არ დაეთანხმა ამ სასოწარკვეთილ თხოვნას, ვინძლო შაჰმა შეგიწყალოსო; ხოლო რათა დაგიმტკიცო, რომ ფიცის გატეხა არ მდომებია, სპარსეთში გაგყვები და შაჰს ვთხოვ, რომ არ დაგსაჯოსო. ბიძაჩემმა დედოფალს დააშლეინა მასთან ერთად სპარსეთში წასვლა გზის სიშორის გამო; მარტო წავალ, შეიძლება ღმერთმა ინებოს და გადავრჩე საშშობლოს საკეთილდღეოდ.

შაშინ მან მამაჩემი და თავისი ბეულლე გამოითხოვა გამოსაშშვიდობებლად, მათ იგი გაბოიტარეს, თითქო მიცვალებული ყოფილიყოს. მამაჩემს გულმხურვალედ სწყუროდა მისი განთავისუფლება, მაგრამ ძალით ეს არ ხერხდებოდა. და ცოტა ხნის შემდეგ ბიძაჩემი სპარსეთში წაიყვანეს. მისი მრავალი აზნაურისა და მსახურისგან ორაეინ არ ისურვა მისი ხლება გარდა ერთი ახალგაზრდა აზნაურისა, რომელიც თავისი ნებით გაჰყვა, რათა მისი ბედისა და სიკვდილის თანამოზიარე გამხდარიყო. მხოლოდ ასმა კაცმა მისი ამალიდან ამ ამბის გაგებისთანავე იარაღი შეისხა და თავი შეაფარა ადგილობრივ ეკლესიას, რათა მტერს ცოცხალი არ დაჩეგებოდა. დედოფალმა მათ ათანასე მთავარეპისკოპოსი[1] მოუგზავნა მოციქულად, შეეთვალა თქვენ არას გერჩით, თქვენი ბატონის ძმას დაუბრუნდით, ახლა მას ეკუთვნითო. ნაცოლაც მამაჩემთან მოვიდენ. მან ისინი თავიანთ ადგილას დააბრუნა.

როცა ხანებმა გვი ამილახვარი ორ კახელ თავადიშვილთან ერთად სპარსეთისკენ წაიყვანეს, გზად მათ შეეყარა სპარსეთიდან უკან მომავალი ქსნის ერისთავი შანშე, რომელიც აგრეთვე წინათ საქართველოდან გაწვეული იყო ნადირ შაჰის ბრძანებით. იქ რამდენიმე ხანი პატიმრობაში გაატარა და ახლა თავის საერისთაოში ბრუნდებოდა თვალებდათხრილი. მან თავის თანამხლებელთ უბრძანა, ბიძაჩემთან მიეყვანათ. მათ ცხარე ცრემლებით გამოიტირეს ერთმანეთი. ბოლოს ქსნის ერისთავმა ქართული ანდაზა სთქვა: წასული ბევრი მინახავს, უკან დაბრუნებული კი არავინო. ბიძაჩემმა იმედი გამოსთქვა, შეიძლება ღმერთმა შემიბრალოს და უკან ისე არ დაკბრუნდე, როგორც შენ ბრუნდებიო. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს გამოეთხოვნენ დიდი გულისტკივილით, თუმცა წინათ მეგობრები არ ყოფილან: შაჰმა შანშე ერისთავი ხელში ბიძაჩემის შემწეობით ჩაიგდო და ქსნის საერისთაოსაც კარგა ხანს ჩვენების მიერ დაყენებული აზნაურები მართავდენ.

სპარსეთის ერთ ქალაქში გაელის დროს ბიძაჩემმა ფრიად სასიკეთოდ საქმე ჩაიდინა. მან დაინახა, რომ ქუჩაში ერთი წარჩინებულ კაცს უმწყალოდ სცემდენ ფეხის გულზე: ამ კაცს გადასახადი არ გადაეხადა, რითაც შაჰი ისე განერისხებია, რომ მისთვის ნახევარ მილიონად ღირებული ქონება ჩამოერთმიათ. მაგრამ ხარჯთმკრეფნი მაინც თავის წილს სთხოვდენ: მათ ათი შაური ერგებათ ყოველ ათ მანეთზე, რაღა გადაეხადა, როცა არა დარჩა რა? ბიძაჩემმა

[1] იგი ჩვენი გვარიდან წარმოსდგებოდა. ქართველ წარჩინებულ და კეთილშობილ გვარებში მიღებულია, რომ თუ ოჯახში მრავალი ვაჟია, ერთს მღვდელმთავრად ზრდიან ამ ათანასე მთავარეპისკოპოსმა შემდეგ ვერ გაუძლო თავისი ქვეყნის რბევას და არეულობას და მოხეტიალეობაში რუსეთში გადასახლდა, სადაც თავისი დღენი დალია

თავისი უკანასკნელი ფული მიაცემია და გამოაყიდვინა საბრალო კაცი. ამის გამო თანმხლებელმა ქახელმა თაეადიშვილებმა ბიძაჩემი კიდეც გაჭეცხეს თურმე: რა გესაქმება ვილაც სპარსელთანო? ფული თვით გეჭირია ყოველ გარემოებაში, ისიც კი არ იცი, სიკვდილი მოგელის თუ სიცოცხლეო. ბიძაჩემს ეპასუხნა: თუ მომკლეს, ფული რად მინდა, ხოლო თუ ცოცხალი დავრჩი, მე უნდა ვფლობდე ფულს და არა ფული მეო. განთავისუფლებული სპარსელი თავის მხსნელს მიუახლოვდა თურმე და მისი სახელი და გვარი ჩაიწერა. ხოლო შემდეგ, როცა თავისი ადრინდელი ღირსება აღიდგინა, მან ბიძაჩემს უხვად მიუზღო სამაგიერო.

ამგვარად მიაღწიეს სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპაჰანს, რაიცა შაჰს აცნობეს. შაჰმა ბრძანება გასცა, გივი ამილახვარი ბოქაულს ჩააბარეთ, ხოლო მე არ დამანახოთო: თუ დავინახე, ყოველი მისი ბოროტმოქმედება გამახსენდება და შემომაკვდებაო. ამის შემდეგ ბიძაჩემს მცველები მიუყენეს თურმე: მაგრამ მასთან ხშირად საეახშოდ დადიოდენ ეთიმადოველე და მთავარსარდალი, რომელნიც ჩვენივე ერის შვილები იყვნენ და ლიდად მეგობრობდენ ბიძაჩემს. ამის გამო ერთხელ მის თანმხლებ აზნაურს ცრემლთა ფრქვევით ეთქვა კიდეც, რა გესტუმრება და გემბიარულება, როცა გარს მცველები გვადგიან და ყოველდღე სიკვდილს უნდა ველოდეთო, რაზედაც ბიძაჩემმა თურმე ღიმილით უპასუხა, თუნდაც მე მომკლან. შენ არაკინ ხელს არ გახლებს, ხოლო თუ ჩემი ბედი გალონებს, გეტყვი რომ სწორედ დღეს წერილი მივწერე ეთიმადოველს და სესხად ათი ათასი მანეთი ვთხოვე, რაიცა მან მაშინვე აქლემებზე აკიდული გამომიგზავანა. ამით ბიძაჩემმა თავისი ახალგაზრდა აზნაური დაარწმუნა, რომ მის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ მოელოდა, ვინაიდან თუ ეს ასე არ ყოფილიყო, მას ფულს არ ასესხებდა ადამიანი, რომლის ხელში მისი საქმე იყო.

ერთხელ მოხდა, რომ მაჰმანდარებმა (სტუმართა მიმღებმა მოხელეებმა) შაჰს, რომელმაც თავისი ამირახორბაში (შტალმეისტერი) მოითხოვა, შეკლიმით ამილახვარი, ე. ი. ბიძაჩემი მიუყვანეს; ბიძაჩემს ეს იყო ეეახშმა და სტუმრები გაეცალებია; მას ეშინოდა ასეთი უდროო მოთხოვნისა, მაგრამ მაინც შაჰს ეახლა. მივიდა და მისალებ დარბაზში დაჯდა, სანამ ეშიკალასები (ცერემონიმეისტერები) მის მოსვლას მოახსენებდენ; მანამ კი იგი თაეიანთ ‘ბორის დასვეს, და როგორც წარჩინებულ პირთა სტუმარმასპინძლობას წეეფერება, ყალიონი მიაწოდეს.

ამილახვარის გაგონებაზე შაჰმა თურმე თავის ეშიკალასებსა და მაჰმანდარებს დაუყვირა, მე ჩემი ამირახორბაში მოვითხოვე და არა ამილახვარი, ეს თვალით არ დამენახოსო. მაგრამ ამასთანავე თურმე ბრძანა უკეთეს ბინაზე გადაეყვანათ იგი, გაედიდებინათ მისი შესანახი ხარჯები და ათასი მანეთი ეგრეთ წოდებული საბანო ფული მიეცათ, რაიცა სპარსელებში უმაღლესი მოწყალების ნიშნად ითვლება.

ბიძაჩემის სპარსეთში გამგზავრების შემდეგ დედოფალმა თამარმა მხოლოდ ერთი წელიწადი იმეფა, ხოლო მთელი მისი მეფობა ორ წელიწადზე ცოტა მეტი გაგრძელდა. სიკვდილის წინ მან დიდგვაროვან თაეადიშვილებს სთხოვა, ჩემი მეუღლე დასტოვეთ სამეფო ტახტზე, სპარსელების ბატონობას მისი ბატონობა გირჩევნიათო. მართლაც თეიმურაზი ლმობიერი კაცი იყო: არ გავდა თავის მუდამ მშფოთარე და ბოროტ ვაეს ირაკლის, რომელმაც თვით თავისი მამა მოა-

ტყეა და რუსეთში გაისტუმრა, სადაც იგი გარდაიცვალა, ხოლო სამეფო ზითვისა და უწყალოდ არბევს.

როცა შაჰმა გაიგო, რომ დედოფალი თამარი გარდაიცვალა, ხოლო თეიმურაზმა ორმოცი დღის წუნდეგ მისი გარდაცვალებიდან თავად ცოცხალის ქვრივი წეირთო, დიდად განრისხდა და წამოიძახა: — მე საქართველოს მმართველობა თამარს ეუბოძე და არა მის ქმარს, რომელმაც არც კი დაიცადა, რომ გლოვისთვის დაწესებულ ვადას გაევლო.

მოიმიზეზა რა დაქვრივებული თეიმურაზის სულმოკლეობა, შაჰმა მას არბაში დაადო. სპარსეთის შაჰებს ჩვეულება აქვთ, რომ როცა ვინმეს გაურისხდებიან, ჯერ არბაში ადებენ, ხოლო შემდეგ სჯიან ფულის გადაუხდელობისთვის. როგორც კი თეიმურაზმა გაიგო, რომ შაჰმა ორი მილიონის გადახდა დამაკისრაო, მაშინვე მიხვდა, რომ იგი მასზე გამწყრალი იყო და თავისი ოჯახით კავკასიის მთებში ვაიხიზნა. აქ მას აცნობეს, რომ შაჰმა ამილახვარი გაანთავისუფლა და ჯარით საქართველოში გზავნის შენს შესაპყრობლადო. ამ ცნობამ თეიმურაზი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. რადგანაც მან კარგად იცოდა, რომ ბიძაჩემს ვერსად დაემალებოდა და გადასწყვიტა ნებაყოფლობით გამოცხადებოდა შაჰს, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფრო უნდა ჰქონოდა შეწყალების იმედი.

ნადირ შაჰმა მართლაც გაანთავისუფლა ბიძაჩემი, მიიწვა იგი და უთხრა:— გაპატიებ ყოველივე შეცოდებას, სამაგიეროდ შენც უნდა გეეშახურო. გაძლევ ოცდათოთხმეტი ათას ჯარისკაცს, წადი საქართველოში და სამეფოს მართვა-გამგეობა იკისრე, ხოლო თეიმურაზი მისი ვაჟი ირაკლითურთ დაიჭირე და გამოიგზავნე!—თუმცა ბიძაჩემს სულით და გულით უნდოდა უარი ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა და მზადებას შეუდგა. მაგრამ სწორეთ მისი წამოსვლის წინალამეს ნადირ შაჰს მისი ძმისწულის ადილ შაჰის წაქეზებით სასახლის მცველები დაესხენ თავს და მოჰკლეს.

ამ სახელოვანი ხელმწიფის სიკვდილის შემდეგ დიდი არეულობა დაიწყო, ვინაიდან ხანები აღდგენ და ერთი მეორეს დაუწყეს ბრძოლა. თვითეული მათგანი სცდილობდა ხელთ დაეჭირა ტახტი. მაგრამ ყველას ადილ შაჰმა აჯობა, რომელიც ბოლოს ავიდა სპარსეთის ტახტზე. ამ არეულობის დროს ბიძაჩემთან თავი მოიყარა ათასზე მეტმა ქართველმა, რომელთაც სპარსეთში სხვადასხვა თანამდებობა ეჭირათ: მათთან ერთად ბიძაჩემი წარეუდგა ადილ შაჰს და თაყვანი სცა მას: ადილ შაჰმა იგი დიდი პატივით მიიღო და ყულარმღასობა, ე. ი. მთელი გვარდიის უფროსობა უბოძა. ამის შემდეგ ბიძაჩემს შაჰ ყული ხანი ეწოდა; მან მრავალჯერ გაიმარჯვა თავისი გვარდიით, ხოლო როცა ერთხელ ინდოეთის ერთი გამაგრებული ქალაქის აღების შემდეგ შაჰს წარუდგა დიდი ნადავლითურთ, ამ უკანასკნელმა მოოქვილი და თვალმარგალიტებით შემკული ხმალი შეიხსნა და თავისივე ხელით მას დაჰკიდა. სხვა საჩუქრებს რომ თავი დავანებოთ. მარტო ეს ხმალი ოცდაათი ათას მანეთად იქნა დაფასებული.

მეფე თეიმურაზმა, რომელიც ამ დროს ქართლიდან ისპაჰანში მიმავალ გზას ადგა, გაიგო, რომ მისი მტერი ნადირ შაჰი მოეკლათ. გულმხიარულად მიაღწია ახალი შაჰის სასახლეს, მიულოცა მას და სთხოვა ქართლის მეფედ დაეტკიცებია გარდაცვლილი დედოფლისა და თავადების თხოვნის თანახმად. ახალი შაჰი დასთანხმდა ყოველივე ამას, თეიმურაზმა კი ცოტაოდენი ხანი დაჰყო ისპაჰანში და ისევ ქართლში დაბრუნდა.

ბიძაჩემმა სპარსეთში არა თუ შური არ იძია თეიმურაზის წინააღმდეგ, არამედ ბევრი დახმარებაც აღმოუჩინა, როგორც წარჩინებულ და პატიოსან პირთა წესია, და სიკვდილისგანაც იხსნა ივი; ერთს შეტაკებაში, რომელიც ამ [illegible] ოდესღაც დროს ხშირად ხდებოდა ისპაჰანის ქუჩებში, თეიმურაზი [illegible] იქნა სპარსელი ჯარისკაცის მიერ და მას აღებათ მოჰკლავდენ, რომ ხმამაღლა არ დაეძახა, ხელი არ მაბლოთ, შაჰ ყული ხანის ძმა ვარო. ამიტომ იგი უვნებლად მიიყვანეს ბიძაჩემთან, რომელმაც მადლობა უთხრა ჯარისკაცებს და დაასაჩუქრა ისინი; ამის შემდეგ თეიმურაზი საქართველოში დაბრუნებამდე განუყრელად ბიძაჩემთან იმყოფებოდა, მას თავის მხსნელს უწოდებდა და სცდილობდა კავშირი და მეგობრობა მთელს ჩვენს ოჯახზე განეკრცელებინა: მაგრამ მისმა ეაუმა სხვაგვარად გადაგვიხადა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

ამ წარმატების მიღების შემდეგ ბიძაჩემმა მამაჩემს წერილი მოსწერა, ჩვენ აზხაურთა მსახურთაგან ასი საუკეთესო მეომარი აირჩიე, საამილახვროს თავადიშვილებს ზაალ ფალავანდიშვილს და ელიზბარ თაქთაქიშვილს [1] ჩაბარე და გამომიგზავნეო. უნდა ითქვას, რომ ეს თავადიშვილები დამოყვრებულნი იყვნენ ჩვენს ოჯახთან და დიდადაც ერთგულობდნენ მამაჩემსა და ბიძაჩემს. მამაჩემმა მართლაც აირჩია ასი კაცი, რომელთაც წინანდებურად უარი აღარ სთქვეს სპარსეთში წასვლაზე, ჩაბარა ზემოხსენებულ თავადიშვილებს და ისპაჰანში გაისტუმრა. მათ დაუბრკოლებლად მიაღწიეს დანიშნულ ადგილს და ბიძაჩემის ამალა შეადგინეს.

ბიძაჩემი სპარსეთში დარჩა მესამე შაჰამდე, რომელსაც იბრაჰიმი ეწოდებოდა: ამ შაჰმა მას ორი დიდი უბოძა ნახევანის სახანოში; [2] მაგრამ იბრაჰიმს დიდხანს აღარ უყაენია და მას შემდეგ ჩქარა შესწყდა ხადირ შაჰის შთამომავლობის ხაზი. სპარსეთში საშინელი არეულ-დარეული დაიწყო, სახელმწიფოს მფლობელი ხან ერთი ხდებოდა, ხან მეორე, ბოლოს ყველას ქერიმ ხანმა აჯობა, რომელიც ამჟამად შაჰის ნაცვლისა ანუ ვაჭილის სახელით ერანის დიდ ნაწილს განაგებს: მაგრამ ერთი ასეთი ვაჭილი ხვარასანშია, ხოლო მეორე ყანდაგარში. ამას გარდა მრავალი ხანი არავის არ სცემობს არც ყაენად და არც მის მოადგილედ და არავის არ ემორჩილება. იმითაა ბედნიერი ქართლ-კახეთის მეფედ წოდებული ირაკლი, რომ სპარსეთი გათიშულია, რომ სპარსეთის ტახტზე არ ზის ყაენი, რომელსაც შეეძლოს საქართველოს სამეფო დაიცვას თვითნებობისა და სამართლის შებღალვისაგან; თუ სპარსეთში არეულ-დარეული არ დაწყებულიყო, ირაკლი ქართლ-კახეთს ვერ დაუფლებოდა შაჰისა და დიდგვარიანი ქართველი თავადების ნებადაურთველად. იგი თავის თავს ქართლის მეფეების მემკვიდრედ სთვლის დედის მხრით. მაგრამ ნამდვილად ამის უფლება არა აქვს, ვი-

[1] ეს თავადი ელიზბარ თაქთაქიშვილი ღრმა მოხუცებულობაში, სახელდობრ, როცა მან ოთხმოცი წლის ასაკს მიაღწია, ბარბაროსულად ცეცხლში დასწვეს ქართლ-კახეთის ახლანდელი მფლობელის ირაკლის ბრძანებით.

[2] ამ მამულების სიგელები ახლაც თან მაქვს. ისინი ერთ ჩვენ მსახურს აღმოუჩენია ჩვენი ოჯახის ღარბევის შემდეგ, გიეგო რომ შახის ნამოძებია, ორივე ხანს დაპალული ქონოდა და შემდეგ მოგვიტანა. საქმე ისაა, რომ სხვა მამულებთან ირაკლის ბრძანებით სპარსეთის ყაენებისა და ოსმალეთის ხანთა ბრძანებანი წაგვართვეს, ისინი ოქროს ასოებით იყვნენ დაწერილნი, და მამაჩემი მათ დაკარგვას ეფრო ნანობდა, ვიდრე სხვა ქონებისა; დრო გავა და ჩემს შვილებს აღარ ეცოდინებათ, რა უფლებანი და უპირატესობანი აქვთ მინიჭებული ძველთაგანო.

ნაიდან ჩვენი კანონით ქალი მემკვიდრედ არ ითვლება; წინააღმდეგ შემთხვევაში ამილახვრებს მეტი უფლება უნდა გექონოდა ქართლის ტახტზე, ვინაიდან დიდედაჩემი ქალი იყო მცხოვანი სახელოვანი მეფის შაჰნაზარისა, რომელიც ორთავე სამეფოს ჰფლობდა.

ბიძაჩემმა, რომელიც განებივრებული იყო შაჰების სამსახურში, არ ისურვა მათი ვაჟიშვილების ყმობა, თავი მოუყარა სპარსეთში გაბნეულ ქართველ ჯარებს, და სპარსელების წინააღმდეგობის მიუხედავად, სამშობლოში დაბრუნდა დიდათ მორჩმული. თეიმურაზ მეფემ იგი დიდი დიდებით მიიღო, ირაკლი მას თავის მაგას უწოდებდა. თუმცა ამ მეგობრობაში ბევრი ცბიერება იყო, მაგრამ წმენდობიანობა არ დარღვეულა თეიმურაზ მეფისა და ბიძაჩემის გვერდ ამილახვრის გარდაცვალებამდე.

მამაჩემს, დიმიტრის, ცოლად ჰყავდა თავადი ორბელიანის ასული მარიამი, რომელთანაც მას რამდენიმე შვილი ეყოლა. მათ შორის მესამე ვაჟი მე უბედური ვიყავი. მე დავიბადე 1750 წელს ლეონობისთვის 20, მაგრამ უმეტესი იქნებოდა სულ არ დაებადებულიყავი ისეთ სამეფოში, რომელიც ფორტუნამ სამშობლოდ მარგუნა".

ეს რა სთქვა, ყმა ალექსანდრემ ცხარე ცრემლები გადმოჰღვარა ნაკადულივით. ამ სანახაობამ ჩვენც გული აგვიჩუყა და აგვატირა, მაგრამ მაინც ეთბოვეთ თავისი ამბავი დაესრულებია. მან ჩვენი თხოვნა შეიწყნარა და ხელახლა დაიწყო.

„თეიმურაზ მეფესაც მეორე ცოლისგან ეყოლა ქალი, სახელად ელისაბედი, რომელიც ერთი წლისა იყო, როცა ქართული ჩვეულების თანახმად, ჩემს ლეფრის ძმასა გიორგიზე დანიშნეს, რათა ჩვენს ოჯახებს შორის მოყვრობა და ზავი დამყარებულიყო. დიდი გულისტკივილით მისცა ამის თანხმობა მამაჩემმა, ვინაიდან მრავალი მაგალითი ახსოვდა მათი და მათი წინაპრების ვერაგობისა მოკეთეებისა და მეგობრების მიმართ. მრავალ მათგანს საკუთარი მაჰები და ძმები ჰყავდათ დახოცილი, თეიმურაზის პაპამ საკუთარი სიძე—სახელოვანი არაგვის ერისთავი ჩაჰკლა თავისივე ქალის სარეცელში, ხოლო თვით ირაკლიმ თავები მოჰკვეთა თავის ბიძას და ბიძაშვილს; ამიტომ წარჩინებული პირები გაურბიან მათ დამოყვრებას: მაგრამ საქართველოს კათალიკოსის ანტონის[1] ცდამ და ბიძაჩემის რჩევამ გასჭრა და ჩვენი ოჯახები დამოყვრდნენ.

ამის შემდეგ ბიძაჩემს დიდხანს ალარ უცოცხლია, განაწესა თავისი მემკვიდრეობის საქმეები, მრავალი ტაძარი და ციხე-სიმაგრე ააგო დანგრეულთა ადგილას, არა მარტო საამილახვროში, არამედ მის საზღვრებს გარეშეც. მრავალი ქველმოქმედება ჩაიდინა, თავისივე დასაფლავების წესი განაგო და გარდაიცვა-

[1] ეს ანტონ კათალიკოსი ქართლის წინანდელ მეფეების გვარიდან წარმოსდგება და ჩვენი ნათესავია; მაგრამ თავისი სისუსტის გამო დიდად უპატიოდ მოგვეპყრო ჩვენს უბედურებაში და ადამიანური სინდისის წინააღმდეგ წავიდა, როგორც ქვემოთ გეუწყებათ. ეს ანტონ კათალიკოსი მართლმადიდებლობის დაგმობისა და კათოლიკობის აღიარებისთვის საშშობლოდან გაძევებულ იქნა თეიმურაზ მეფისა და ქართველობის მიერ, რუსეთში ბოვიდა და თავისი აქ გადმოსახლებული ნათესავების შეწყობით რუსული ეპარქიის მღვდელთმთავარი გახდა. მაგრამ ამას არ დასჯერდა და თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ირაკლი მეფეს საქართველოში დაბრუნება გამოსთხოვა. იქ მან დაიწყო ღმერთი და თავისი ხარისხიდან მეფეს ყოველგვარი დახმარება გაუწია მის ბორტმოქმედებაში თავისივე ნათესავების და და მოკეთეების საზიანოთ.

ლა. თავის მემკვიდრედ მან ჩემი უფროსი ძმა დანიშნა, ვინაიდან ხაკუთარი შვილები არ დარჩა: ორი ვაჟი ბავშვობაში მოუკვდა, ორი ქალიდან ერთი ახლანდელ პატრიარქ ანტონზე იყო დანიშნული ამ უკანასკნელის ერისკაცობის დროს, მაგრამ ორი მისი სილამაზით მოხიბლულმა ნადირ-შაჰმა წაართვა საჭროს, რის შემდეგაც ანტონი ბერად შესდგა; ხოლო მეორე ქალი ირაკლიზე იყო დანიშნული, მაგრამ ქალწულობაში გარდაიცვალა.

ბიძაჩემი პატივით დაასაფლავეს. კუბოს სამი სარწმუნოების სამღვდელოება მიჰყვებოდა: წინ მიუძღოდა მართლმადიდებლების სამღვდელოება. მარჯვნივ კათოლიკებისა. ხოლო მარცხნივ სომხებისა. მათ უკან კი მოდიოდნენ მეფე, ჩვენი ოჯახი და წარჩინებული თავადიშვილები. გლოვა მთელ საქართველოში დილხანს გაგრძელდა.

როცა ჩემს ძმას ცხრა წელი შეუსრულდა, მას ჯვარი დასწერეს ქართული ჩვეულების მიხედვით; ამას გარდა თვით თეიმურაზ მეფეს უნდოდა, რომ მოსწრებოდა მათს დაქორწინებას, მაგრამ ჯვრის წერის შემდეგაც ჩემი რძალი ერთხანს თავის დედამამასთან ცხოვრობდა, სადაც ჩემი ძმაც ათევდა ღამეს; ამრიგად ჩვენ რძალთან ერთად ვიზრდებოდით და ხშირი მისვლა-მოსვლა გვქონდა ერთმანეთში.

მე უკვე ცამეტი წლისა ვიყავი, როცა ჩვენი უბედურება დაიწყო. ტფილისში ჩვენი სახლი ზედ მტკვრის პირას იყო აგებული. ეს მდინარე დიდი და ჩქარია, მისმა სწრაფმა ტალღებმა საძირკველი ჩამოერეცხეს ამ სამსართულიან, სპარსულ რიგზე აშენებულ სახლს. და იქ ცხოვრება სახიფათო გახდა. როცა მამაჩემმა ეს საფრთხე დაინახა, დედაჩემს აუკრძალა იმ ოთახებში ცხოვრება, რომელიც მდინარეს გადაყურებდა; მაგრამ დედაჩემს სეფდას უქარებდა მდინარის შხეილი და ტალღების ხრბოლა, ამიტომ უმეტეს ნაწილად დროს სწორედ მტკვრის გადამყური აივანზე და ოთახებში ატარებდა. ამ უბედურ დილას დედაჩემი დალოგინდა. რიცა ეუწყა დედოფალსა და ყველა წარჩინებულ მანდილოსანთ, რომელნიც მშობიარესთან უნდა მოსულიყვნენ ქართული ჩვეულების თანახმად. მამაჩემი და ჩემი ძმები ჩვენს მამულში იმყოფებოდნენ სოფლად; მე ის იყო იმ ოთახში შევედი, სადაც მასწავლებელს გაკვეთილი უნდა მოეცა და ხელში ვაშლს ვათამაშებდი გაკვეთილის დაწყების მოლოდინში, რომ თვალი მოვკარი ჩვენი სახლისკენ გამოქცეულ ადამიანებს, რომელთაც გარედან ჩემზე ადრე შეემჩნიათ ჩვენი სახლის ნგრევის მიერ გამოწვეული მტვერი და მდინარეზე გადამყური ნაწილის ჩაშვავება. მათმა შეშფოთებულმა სახეებმა შეც შეშაშფოთა: ეჰ, საწყალო, მიოხრა ერთმა, არც კი გრძნობ რა უბედურება დაგატყდა თავს და ვაშლს ეთამაშები. ამ სიტყვების გაგონებისთანავე დედაჩემისკენ გავიქეცი, მაგრამ აღარც ის დამხვდა და აღარც მისი სადგომი ოთახები. ყოველივე ერთ წუთში ჩაშვავებულიყო. თავი მოუყარეს ხალხს და დაიწყეს ნანგრევებში დედაჩემის ძებნა. როცა ეს დავინახე, დავუწყე შესაბრალისი ხმით დედაჩემს ძახილი. ღაწვებს კოკაწრავდი, თმას ვიგლეჯდი, ცხარე ცრემლებს ვღვრიდი და მიწაზე თავს ვახეთქებდი: ჩემთან ერთად სხვებიც სტიროდენ, სამი დღე და ღამე ამ ყოფაში გავატარე, შემდეგ კი ძალაუნებურად დავმშვიდდი, ვინაიდან ძალაც გამომელია და ცრემლებიც დაშრა.

რაც შეეხება მშობიარესთან მიწვეულ სტუმრებს, ისინი გადარჩენ ამ უბედურობას, მაგრამ უკან როდი დაბრუნდენ. არამედ სასიხარულოთ მოწვე-

ულნი, საგოდებელში მოვიდენ და, რა ბედის ასეთი უკულმართობა ძალეს, გაამრავლეს ტირილი და ცრემლთა ფრქვევა. მათაც სამი დღე და ღამე გაატარეს იქ, ბევრი გვამი ან ნახევრად მომაკვდავი ადამიანი აღმოაჩინეს ნანგრევებში, სანამ ბოლოს დედაჩემის გვამსაც არ მიაგნეს: მას მოეხვია და სახე პირბადით დაეფარა, ეტყობოდა სიკვდილის წინა წუთებში კიდევ გაეფიქრა სიცოცხლის შენარჩუნებაზე. ამ სამარცხვინო ადგილას დიდძალი მწარე ცრემლი დაიღვარა, ხოლო ხალხის ქვითინი შორს გაისმოდა.

ამ სამწუხარო ამბის მიღებისთანავე მამაჩემმა, რომელსაც იმ დღესვე შიკრიკი გავუგზავნეთ, მიცვალებულის წასასვენებლად ჯარი გამოგზავნა საამილახვროს თავადების წინამძღოლობით; წარჩინებულმა პირებმა ცხედარი ტფილისის ციხე-გალავნის საგუშაგომდე მიაცილეს:[1] კუბო ჩვენს საგვარეულო მონასტერში მიასვენეს, იქ მამაჩემი მოეგება შვილებითა და მოკეთეებით. ხოლო რა გულსაკლავი სანახავი იყო მოტირალი ხალხი, ამას ახლა ვერ გადმოგცემთ. ამრიგად დაასაფლავეს დედაჩემი, რომელიც ოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა, მაგრამ თოთხმეტი შვილის შობა მოასწრო; მათგან, ღვთის წყალობით, ექვსი ძმა და ერთი და ცოცხალი ვართ.

ამ უბედური შემთხვევის შემდეგ წელიწადზე ცოტა მეტმა ხანმა განელო და მამაჩემი ჯერ კიდევ მგლოვიარე იყო, როცა მეფემ შემოგვითვალა, ჩემი და შინ წაიყვანეთო. ჩვენ რძალი შინ მოვიყვანეთ და იგი ცხრა თვეს ცხოვრობდა ჩვენს ნამულში. შემდეგ ირაკლიმ თავისას მიგვიწვია, მამაჩემი წასასვლელად გაემზადა ჩემი სამი ძმითურთ, და თუმცა მე შინ მტოვებდენ, მაგრამ საუბედუროთ არ ვისურვე დარჩენა, ვინაიდან მეფის სასახლეში მეტი მხიარულება მელოდა. საფრთხეზე კი არაეითარზე არ ვფიქრობდი. როცა მეფის ბანაკს მივუახლოვდით, თვით ირაკლი შემოგვეგება. ამ რიგად ჩვენ მივაღწიეთ ტფილისამდე, ჩვენი რძალი მის დედას მივეუყვანეთ, ხოლო ჩვენ საკუთარ სახლში დავდექით, მახლობლად მეფის სასახლისგან. ჩემი ძმა ყოველთვის სასახლეში მიდიოდა თავის ცოლთან ღამის გასათევად, თვით მეც მამაჩემთან ერთად ყოველდღე იქ დავდიოდი დილითა და საღამოთი.

მეოთხე დღეს ჩვენდა საუბედუროთ ქალაქს ლეკები დაესხენ თავს, მათ გასარეკად მეფე, თავადები და ჯარი გავიდენ. მამაჩემს ცხენი წაქცეოდა ვიწრო ქუჩაში, ქვეშ მოჰყოლოდა და მხარი და თავი გაეტეხა, ისე რომ საფეთქელის ძვალი უჩანდა; იგი თურმე უგრძნობლად ეგდო, და მას ალბათ ცხენოსანი ჯარი გადასთელავდა, რომელიც უკან მოჰყვებოდა ჭენებით, თუ ორ თავადიშვილს დაშავებული მამაჩემი არ შეეშინათ და ხმლები არ ეშიშვლებიათ მხედრობის შესაჩერებლად; შემდეგ იგი სომეხთა არქიეპისკოპოსის სახლში მიეტანათ იქვე მარცხის ადგილის მახლობლად.

ჩვენ, ძმებმა არაფერი ვიცოდით ამ უბედურების შესახებ და მომალლო ადგილიდან ვუცქეროდით მიმავალ მხედრობას (ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ ბრძოლაში არ მივყავდით უწლოვანობის გამო). რადგან ჩემი ძმები არ თანხმდებოდენ ქალაქის გალავანს გაშორებოდენ, მე ერთს მსახურს ვუბრძანე, უკან გაშომყე, მინდა ჩვენი ჯარი უფრო ახლო დავინახო მეთქი, მაგრამ გზაზე ერთი

[1] მეფე და პატრიარქი მაშინ კახეთში იმყოფებოდენ.

[2] მისი მამა — თეიმურაზ მეფე უკვე გარდაცვლილი იყო რუსეთში.

ჩვენი აზნაური შემპვდა, რომელსაც მამაჩემის ცხენი მოჰყავდა და მისი ხმალი მოჰქონდა. ეს მეუცხოვა და ვკითხე, რა მოხდა მეთქი: მან გამილიმა, რათა არ შევშინებულიყავი და მითხრა, მამაშენი ცხენიდან ჩამოვარდა და ცოტათი დაშავდა, მტრის გამოდეევნება აღარ სურს და სომეხთა არქიეპისკოპოსის სახლში დარჩაო.

ამ ამბის გაგონებისთანავე აღნიშნულ ბინაზე მივირბინე, სადაც მრავალი ექიმი დამხვდა, ისინი ავადმყოფის ოთახში ჩაკეტილიყვნენ და ჭრილობებს უხვევდენ; მე კარი გაეღებინე და ოთახში შევედი. მაგრამ მამაჩემი ვერ ვიცანი: თუმცა მას თვალები დაღებული ჰქონდა. მაგრამ არც გრძნობა ქქონდა, არც ენა. მისმა შეხედვამ მე მგრძნობიარობა წამართვა, ვერც ტირილი შეეძელი და ვერც სიტყვის დაძვრა. იქვე მოვიდნენ ჩემი ძმებიც, რომელთაც ყოველივე გაეგოთ; ყველანი მცირეწლოვანნი ვიყავით. ცხოვრებისა არაფერი გაგვეგებოდა: უფროსი ძმა, მეფის სიძე ჩვიდმეტი წლისა იყო, მეორე თექვსმეტისა. ხოლო მე უბედურს სწორეთ თხუთმეტი წელიწადი შემისრულდა იმ თვეში, როცა ერეკლე მეფის ყმები თავს დაგვესხენ და მე ძალაუნებურად ჰანიბალისებური ფიცი მიმალებინეს, სიკვდილამდე კახთა ბატონობის შეურიგებელი მტერი დაერჩენილიყავი.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ჯარი უკან დაბრუნდა, არსად მას მტერი არ შეჰყრია, მთელი ეს ლეკთა თავდასხმა ჩვენ დასალუპავად იყო მოგონილი. მაშინ წარჩინებულმა პირებმა, რომელთაც მამაჩემის ცხენიდან ჩამოვარდნა გაიგეს, ყოველი მხრიდან თავი მოიყარეს მის დროებითს ბინაზე. მეფემ კი მხოლოდ მსახური გამოგზავნა ჯანმრთელობის გასაგებად. მანამდე კი ერეკლე მეფე ხშირად ბრძანებულა ჩვენს სახლში, განსაკუთრებით მამაჩემის ავადმყოფობის დროს, ახლა კი ჩვენი რძალიც კი არ გამოუშვეს თავისი მამამთილის სანახავად: ამან ეჭვი აგვაღებინა, მაგრამ მაშინ ვინ იფიქრებდა. რომ მათგან იმდენი უბედურება გველოდა.

რაკი ირაკლიმ დაინახა, რომ ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვიყავით და მას მარჯვე დრო დაუდგა თავისი დიდიხნის სურვილის შესასრულებლად, შეუდგა მზადებას ჩვენს: დასარბევად და დასალუპავად. რათა თავისთვის დაემკვიდრებია ქართლის სამეფო; მართალია მამაჩემი მას ხელს არ უშლიდა. მაგრამ თვით ირაკლის სინდისი აწუხებდა. რომ უკანონოდ, მიწაძალავრებით დაეპატრონა ამ სამეფოს და ადვილად შეიძლებოდა ხელახლა დაეკარგა იგი; მან აგრეთვე სთხოვა მეზობელ სახელმწიფოებს. რომ იგი ქართლის მეფედ დაემტკიცებიათ შემკვიდრეობით, მაგრამ რადგან ჩვენი ტახტის მემკვიდრეობის კანონი ძველიდანვე ცნობილი იყო, არავინ ამას არ დათანხმდა. მეორე მხრით ერეკლემ იცოდა. რომ ჩვენ კანონიერი მეფის მხარეზე ვიყავით და ის მოსაზრება, რომელსაც ეგი იყენებდა. რომ ჩვენ დედით ქართლის ტახტის მემკვიდრეები ვართო, უფრო ამილახვრების სასარგებლოდ ლაპარაკობდა, ვინაიდან როგორც ზემოთ ვთქვით, დიდედაჩემი იყო ქალი მცხოვანი და ძლიერი მეფის შაჰნავაზისა. რომელიც მთელ ამ სამეფოს ჰფლობდა: მაგრამ ჩვენს წინაპრებს უმჯობესად მიაჩნდათ, თავიანთი სიმკვიდრის და ხარისხის დაცვა. ვიდრე ხანმოკლე მეფობა; ჩვენი ვეარი ბაბილონიდან წარმოსდგება. ცხრამეტი თაობა მახსოვს ჩვენი საგვაროვნოს შტოს მიხედვით, მათგან 35 კაცი დღემდე განუწყვეტლივ ფლობდა საა-

მილახვროს, ამავე დროს კი საქართველოში მრავალი მეფე გამოიცალა ტამთა ვითარების გამო.

თავის განზრახვის განსახორციელებლად ირაკლიმ ფარულად თავის საკუთარ კახელთა ჯარს მოუყარა თავი ტფილისში, თავისი მოკეთეები მოიპატიჟა ვითომდა გასამასპინძლებლად, ხოლო ქალაქის ყოველ კარიბჭესთან ასი-ასი გუშაგი დააყენა, რაიცა არც წინათ მომხდარა არასოდეს, არც შემდეგ: ეს ლონისძიება იმისთვის მიიღო, რომ ჩვენ ქალაქიდან ვერ გამოვსულიყავით, რაიცა ჩვენთვის ისედაც შეუძლებელი იყო, ვინაიდან, მამაჩემი სიკვდილის პირას იყო, ჩვენ კი მცირეწლოვანნი ვიყავით. ხოლო ჯარი თან არ გვახლდა: მამაჩემი არავითარ საფრთხეს არ ელოდა და თავისი ყმები დაითხოვა, მხოლოდ რამდენიმე მსახური დაიტოვა, რომელნიც აუცილებლად საჭირონი იყვნენ მისთვის.

ამ საშზადისის შემდეგ ერეკლე მეფე შეუდგა მიზეზის ძებნას თავისი ბოროტი განზრახვის შესასრულებლად: ჩემი ძმა სასახლეში აღარ შეუშვა ცოლთან ღამის გასათევად, მამაჩემს კი შემოუთვალა, აღარ მსურს შენი დამოყვრებაო; ვითომდა მის თექვსმეტი წლის დას შეეჩივლა, წვილი არ მიჩნდებაო ქმრის მამაკაცური უძლურების გამოო: ჩემი ძმა კი მაშინ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო. თავისივე დის პატივის შეურაცხმყოფელი წერილი მან მისწერა ავრეთვე საქართველოს პატრიარქს, რათა მას ნება დაერთო მისი განქორწინებისა და სხვა ქმარზე გათხოვებისთვის.

ბაგრამ ყოველივე ეს უსამართლობა იყო და ერეკლემ იცოდა, რომ ამით ჩვენ შეგვაწუხებდა. ჩვენ არ დაგუთმობდით და წინააღმდეგობას გავუწევდით როგორც უკანონო მეფეს; თვითაც — უნდა აღიაროს, რომ ვერ ბედავს ვერავის შეურაცხყოფას ან გასაბრალებას. ყოველივე ასეთს საქმეს ავაზაკურად ჩადის და ისიც ღამით თავისი თანაგანმზრახველების დახმარებით. შემდეგ ამ უკანასკნელთ ნაძარცვს უნაწილებს. პატრიარქმა ირაკლის თხოვნას ხელი მოაწერა განუსჯელად, ჩემი ძმის მამაკაცური უძლურება დაადასტურა ცოლის განცხადების მიხედვით და მათი განქორწინების ნება დართო. აქაო და. ეს ქორწინება ისედაც მოკლებული იყო ღვთის მადლს. რადგანაც ქალ-ვაჟი მცირეწლოვანნი იყვნენ. როცა ჯვარი დაიწერესო: ამიტომ ღვთის მიერ მონიჭებული ძალაუფლებით ვარღვევ მათ ცოლქმრობასო. ეს განაჩენი მამაჩემს ოთხმა კაცმა მოუტანა, მათში ორი საერო იყო, მეფის მდივანბეგები და ორიც სასულიერო, არქიმანდრიტები. როცა ლოგინში მწოლიარე მამაჩემმა ეს განაჩენი წაიკითხა, სიცილი დაიწყო: — განა დიდი ხანია თქვენმა პატრიარქმა ეს ძალაუფლება მიიღო, რომ ღვთის მიერ შეუღლებულ ქალ-ვაჟს სთიშავს და განა თვით არ სცდილობდა ჩემი მცირეწლოვანი შვილის დაქორწინებას, თუმცა მე წინააღმდეგი ვიყავი? თუ ყოველივე ეს ანგარების გავლენით ხდება? ახლა მე მყიდიან ვერცხლზე. ახლა დრო მიხელთეს და მომაკვდავს თავს მესხმიან ამ ქვეყნიური თავადნი და მსაჯულნი.—ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ამოიოხრა, კედლისაკენ იბრუნა პირი და ჩაილაპარაკა: — ეს უბედურება ჩემს თავს მევე ვუყოფი. რადგან ვერაგ ადამიანებს ვერწმუნე, ბაგრამ არა უშავს რა, თვითვე ვიძიებ შურს ჩემი შეურაცხყოფისთვის, თუ დამცალდა და არ მოვკვდი.

ამ პასუხით გაბრუნდენ მოციქულები, რომელთაც იცოდენ, რომ მეფე მიზეზს ეძებდა ჩვენზე თავსდასასხმელად. გადასცეს ბაბარემის მუქარა, გააფრთხილეს, რომ მართლაც სახიფათოა, თუ იგი ლოგინიდან ადგა.

იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა ვახტანგ მეფის უკანონო შვილი, ირაკლის დედის ძმა, პაატა ბატონიშვილი, რომელმაც შემთხვევა იპოვა და მამაჩემს გაუნდო, რომ მრავალი თავადი მემხრობა. მაგრამ შენ დაუხმარებლად ვერ გავმეფდებიო: მართალია. მამაჩემის უკანონო შვილი ქარ, მაგრამ რადგან დიდგვაროვანი თავადიშვილები ერთმანეთს გამეფების ნებას არ აძლევენ, ქართლის ტახტი უფრო მე შემეფერება, ვიდრე არაქართველს. ქვეყნისმრბეველს ირაკლისო. მამაჩემმა უპასუხა: თუ ცოცხალი გადავრჩი, მე ვიცი როგორ გავუსწორდები ჩემს მტერსო. ტახტის მაძიებელმა უკუნურება გამოიჩინა და ერთს თავის ნათესავ ახალგაზრდა კაცს სიხარულით უთხრა, რომ ამილახვარმა დახმარების აღმოჩენა აღმითქვა გაჯანსაღებისთანავეო; ამ ახალგაზრდა კაცმა კი გაგონილი თავის მაახურს გადასცა, ამ უკანასკნელის ცოლი ერეკლეს სასახლეში ცხოვრობდა როგორც მისი პაწია ეაჟის ძიძა: ცოლმა ქმარს ურჩია, ყოველივე მეფეს აცნობეო: მან მართლაც შეატყობინა ერეკლე მეფეს, დიმიტრი ამილახვარი გამოსრთველებაა უცდის, რათა თქვენ წინააღმდეგ შური იძიოს და თქვენს ბიძას ხელი შეუწყოს გამეფებაშიო.

ერეკლე მეფე დიდად ნასიამოვნები დარჩა ამ ცნობით, დამბეზღებელს მახარობელი ანუ ევანგელისტი უწოდა და თავის თანაგანმზრახველთან ანტონ კათალიკოსთან წაიყვანა, პატრიარქად სახელწოდებულთან, რომელმაც იმ კაცს უთხრა: კურთხეულ არის მუცელი, რომელმაც შენ გშობაო.

აქედან თქვენ, ბატონნო მსმენელნო, ადვილად შეგიძლიან გაიგოთ, რა ძლიერ უნდა სდომოდათ ჩვენი დარბევა, რომ თვით მეფემ დამბეზღებელს ევანგელისტი უწოდა: ხოლო პატრიარქმა თავისი ხარისხი დაიეიწყა, იგი ქრისტეს შეადარა და დიდად დასაძრახისი სიტყვები წარმოთქვა. იმ კაცს აზნაურობა უბოძეს და უხვად დაასაჩუქრეს: ხოლო რა მოუვიდა შემდეგ ამ ახლად მოვლენილ ევანგელისტს, ამის შესახებ ქვემოთ ვეტყვები ლაპარაკი.

ერეკლე, რომელიც ყოველთვის მზად იყო ჩვენ დასარბევად, დაუფონებლივ ჯერ თავის ბიძას დაესხა თავს და მცველი მიუყენა მას, შემდეგ თავისი ბიძაშვილი (დედის მხრით) დააპატიმრა: მათი დაპატიმრება ადვილი იყო, რადგან არავითარი ძალა არ გააჩნდათ წინააღმდეგობის გასაწევად: მოემზადენ ამ ლამითვე ჩვენც დაგვსხმოდენ თავს და ვერაგობით თუ ძალით შეეპყარით, როგორც ეტყობოდათ მაინც ეშინოდათ უმწეო და სიკვდილის პირს მიმდგარი ადამიანისა.

ერთხელ ლამით ჩვენსას ხუთი თავადიშვილი მოვიდა მხედრებით: ჩვენ ის იყო ვიეახშმეთ და სამივე ძმა დასაძინებლად წავედით, ხოლო მამა მის ოთახში დავტოვეთ; ახლად მოსულნი ჯერ წყნარად შემოსულიყვნენ, მამაჩემს ჰგონებოდა, ჩვეულებრივი სტუმრები არიანო და ბრძანება გაეცა მათთვის ვახშამი მიეტანათ. მათ ეთქვათ, ჩვენ ვახშამი არ გვინდა, მეფის ბრძანებით თქვენთან საქმე გვაქვს მოსაგვარებელიო, შემდეგ ეკითხათ. სად არიან თქვენი ბავშვებიო. მამას ეთქვა დასაძინებლად წავიდენო. მაშინ ახლადმოსულებმა თავიანთ მხედრობას უბრძანეს ალყა შემოერტყათ ჩვენი სახლისთვის, ხოლო თვით ისინი ჩვენი ოთახებისკენ წამოვიდენ ჩვენ შესაპყრობად.

მაგრამ მათ მოსვლამდე ჩვენთან ჩემი ალმხრდელი შემოიჭრა და მითხრა, არ შეშინდეთ, მეფის გამოგზავნილი თავადიშვილები და მხედრობა მოვიდენ. მათ ალყა შემოარტყეს ჩვენს სახლსო; ამის გაგონებაზე ერთ ჩემს ძმას ენ-

დოდა თაველაში შეეარდნილიყო, ცხენზე შემჯდარიყო და გაქცეულიყო ბოგრამ მე გაეამხნევე, დაიცა, ჯერ გაეიგოთ რა სურთ ჩვენგან მეთქი: რაზედინმე წუთის შემდეგ ის თავადები ჩვენთან შემოვიდენ, მოგვიალერსეს და გული გაგვიმაგრეს, ნურაფრის გეშინიათო; მაშინვე მამაჩემის ოთახში შევედით, უფროსი ძმა მას გვერდით დაუჯდა. ხოლო ჩვენ, უმცროსები ფეხზე დავდექით. მაშინ ახლადმოსულებმა მამაჩემს აცნობეს, თქვენი შეპყრობა ნაბრძანებიაო. ამაზე მამაჩემმა უპასუხა, დიდიხანია დასნეულებული ვარ, ადვილია ჩემი შეპყრობაო.

ამის შემდეგ შეუდგენ ჩვენი ქონების ჩაბარებას, და, უწინარეს ყოვლისა, კედლიდან მდიდრულად მორთული თოფიარალი ჩამოიღეს; ცნობილია, რომ აზიელების და განსაკუთრებით ქართველების სიმდიდრე თოფიარალსა, საჯაულსა და ცხენებში მდგომარეობს. ჩვენ თვალწინ დაიწყეს ამ თოფიარალის მორგება: საქართველოში იმთავითვე წესია, რომ როცა ვინმეს აპატიმრებენ, ტანისამოსი, თოფიარალი და ცხენი იმას ეძლევა. ვისაც დაპატიმრება ჰქონდა დაკალებული, ხოლო დანარჩენი ქონება მეფეს მიაქვს. ამ უდიერმა ქცევამ ჩემდა საბოლოოდ ჩემში ისეთი ვაჟკაცობა გააღვივა, რომელიც შეუღერებელია მცირეწლოვანთათვის; მე ძმებს მივუბრუნდი და ვუთხარი, ნუთუ უმჯობესი არაა დავიხოცოთ, ვიდრე ასეთი შერცხვენა ავიტანოთ მეთქი; მაშინვე ხელი ვიტაცე ხანჯალს, რომელიც ზედ მეკიდა, როცა იმ თავადიშვილებმა ჩემი სასოწარკვეთილი გამბედაობა დაინახეს, მოფერება და დაშოშმინება დამიწყეს. მითხრეს, ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ეს თოფიარალი ჩვენთვის მიგვაქვსო; მხოლოდ ავწერთ მეფის ბრძანებით, ჯერ არაფერს დავუფლებივართო; შეიძლება ყოველივე უკან დაგიბრუნონო. მამაჩემმაც დამიყვირა: — ნუ თუ მარტო შენ აპირებ წინააღმდეგობის გაწევასო. ამის შემდეგ მე დავმშვიდდი. მაგრამ ფარულად მეფეს კაცი გაუგზავნეს და აცნობეს, რომ მე ვლელავდი და წინააღმდეგობას ვეწეოდი, რომ ჩემი სითამამე ალბათ ჩვენი შეიარაღებული ყმების მოშველების იმედით იყო გამოწვეული; მეფეს ეკითხებოდენ, როგორ მოვექცეთ. მეფეს ერთი თავადისა და ერთი აზნაურისთვის ებრძანებია დაუყონებლივ აქ მომგვარეთო. ჩემთვის სასიამოვნო არ იყო ამ მოთხოვნილების შესრულება. მაგრამ იმ თავადიშვილებმა დამარწმუნეს, გულდამშვიდებით შეგიძლია წახვიდე, ბოლოდ ხანჯალი აქ უნდა დატოვო, თორემ მეფე გაწყრებაო. მე ხანჯალი ჩემი ხელით მოვისსენი, და მათ მივუგდე და ვუთხარი, თქვენ მეფის გულისწყრომა კი არა, ჩემი ხანჯლის დაპატრონება გაფიქრებთ მეთქი. მართლაც ასე იყო, ვინაიდან იმ თავადიშვილებს მაშინვე ჩხუბი მოუვიდათ ჩემი ხანჯლის გულისთვის: მაგრამ ერთი ჩემს წასაყვანად მოსულს ეკრა. ამის დაბნახულს გული მომდიოდა და მეკვინებოდა ჯიდეც მათი სიხარბის გამო. შემდეგ მეფესთან წამიყვანეს. გზაზე მამშვიდებდენ, ნურაფრის გეშინიაო.

დარბაზში შესვლისთანავე მეფეს მიეცა სალამი ჩვეულებისაებრ. მან ყვირილი დამიწყო და ბრძანა, რომ ჩემთვის ხელები შეეკრათ. მაშინვე ხელები შემიკრეს ჩემივე სარტყელით, ტოლომა გამხადეს და იქვე მეფეს თანადასწრებით ეიღეცას ადასცეს, რაიცა წინათ არასოდეს არ მომხდარა საქართველოში. მხოლოდ მეფე ერეკლეს ღრმის ხლებოდა: მაგრამ ამდაზისა არ იყოს. როგორიც ერი, ისეთი ბერიო.

ამის შემდეგ მეფემ დაკითხვა დამიწყო მრისხანე, მბეჭეური ხმით (უნდა ითქვას, რომ მისი სახე არც მხიარულობის დროსაა მაინც და მაინც სასიამოვნო), რათა შიშით მეტი მეთქვა. — შენი ძმა მამაკაცობას მოკლებული იყო და ამიტომ წავართვი ჩემი და; მაგრამ თქვენ რატომ გინდოდათ ჩემი დალუპვა მთელი ჩემი ოჯახითურთ?

გეფიცებით, ბატონო მსმენელებო, რომ არა თუ არ შემშინებია, სრულიად თავი დამავიწყდა და გაბედულად ვუპასუხე, ეს მართალი არაა, ჩემი ძმა სრულქმნილი მამაკაცია და არც თქვენი სიკვდილი სდომებია ვისმეს მეთქი. — მაშ რას მიპირებდით, თუ არ მოკვლასო. — თვით გაიგებდით, რაც გვინდოდა, მაგრამ არ დაგვაცადეთ. ახლა კი ძალა თქვენს ხელთაა და რაც გსურთ იმას გვიზამთ მეთქი. თქვენი ტახტიდან ჩამოგდება მოუკვლელადაც შეგვეძლო, თუ მამაჩემი ჯანმრთელად ყოფილიყო და ეს მოესურვებინა, თვით თქვენს კარგად გახსოვთ როგორ გეპყრობოდეს წინათ მამაჩემი და ბიძაჩემი მეთქი. მაგრამ მოფერებითა და ვერაგობით ხელში ჩაიგდე პატიოსანი ადამიანები. რაიცა მეფეს არ ეკადრება მეთქი.

ამ ჩემმა უშიშარმა პასუხმა ისე გააოგვარა, რომ იქვე უნდოდა ჩემი მოკვლა, მაგრამ იქ მყოფმა მხედრებმა ამის ნება არ მისცეს. შეუძლებელია უწლოვანი კაცის ასე დასჯა, თვით არ ესმის რას ლაპარაკობსო. მეფემ უპასუხა, ძნელია ასეთი თავხედი ჭაბუკის გამონაბავო. ამის შემდეგ მომთხოვა, წერილობით დაადასტურე, რომ მამაშენს ჩემი მოკვლა და ჩემი ოჯახის ამოწყვეტა უნდოდაო. ამაზე გადაჭრით უარი ვუთხარი, ეს მართალი არ არის მეთქი. ბევრი მაწვალეს და თვითაც გაწვალდენ იმ ღამეს, მოფერებასაც მიმართეს და დაშინებასაც, მაგრამ ვერ მიიღეს რაც სურდათ და მცველები მომიჩინეს. სანამ მეფე ვახშმობდა, იქვე დამსვეს ტალანში, მაგრამ მას ყელზე ლუკმა ადგებოდა, რადგან ჩვენი სისხლის წყურვილი სტანჯავდა. აქ რამდენიმე კაცი მომიგზავნა, მათ ალერსიანად მითხრეს, ცუდს არაფერს გიქმნენ, მხოლოდ ხელი მოაწერე, რომ მამაშენს მეფის მოკვლა ჰქონდა განზრახულიო. მათ არაფერს ვუპასუხებდი, ტალანში ვიჯექი და სიცივისგან ვკანკალებდი. ვინაიდან ზამთარი იყო, ჩემი ტოლობა უკვე სხვას ჰქონდა წამოსხმული, მე კი მარტო ქუბა მეცვა და წელშეხსნილი ვიყავი; ხელები, როგორც ვთქვი, ჩემივე სარტყლით მქონდა შეკრული. ერთი ახალგაზრდა აზნაური, რომელიც მე ძლიერ მიყვარდა ბედნიერ დღეებში, ჩემთან მოვიდა და როცა ასეთ მდგომარეობაში დამინახა, თავისი ნაბადი მოიხსნა და მომახურა. სულით და გულით სწუხდა ჩემთან ერთად და არ მომშორებია, სანამ იქ ვიჯექი. ხოლო, როცა მეფის ბრძანებით სახლიდან წაყვანა დამიპირეს, მე მას გამოვემშვიდობე და ვუთხარი: წადი, ძმაო, შენი ნაბადი, რათა იგიც სხვას არ ჩაუვარდეს ხელში მეთქი.

ჩემმა ზედამხედველებმა თავის ბინაზე წამიყვანეს, ვახშმად დასხდენ და მეც მიმიპატიჟეს. მე ეუპასუხე, ახლა ძილის დროა და არა ვახშმობის მეთქი. ვახშმის შემდეგ ხელფეხი შემიკრეს, მცველი მომიყენეს და დასაძინებლად დაწვენ; თქვენ მიხვდებით რა მშვიდად გავატარებდი იმ ღამეს. მაგრამ იმდენად ჩემს თავზე არ ვფიქრობდი, რამდენადაც მამასა და ძმებზე, რომელთა შესახებ არაფერი არ ვიცოდი.

მეორე დღეს დილით რკინის ბორკილები მოიტანეს და ფეხებსა და ცალ ხელზე დამადვეს, ისე რომ მხოლოდ მარჯვენა ხელი დამრჩა თავისუფალი. ამის

შემდეგ მოიდეს მეფის მიერ გამოგზავნილი თავადიშვილები და ბან ერთ-ერთია და ხან მექარით ხელახლა ხელწერილი მომთხოვეს; მაგრამ ვერაფერი მიიღეს და ისევ მეფესთან დაბრუნდენ; მას ებრძანა, აქ მომიყვანეთო: ბორკილი ჩამსხნეს და წამიყვანეს: გზაზე ზემოხსენებული ახლადმოვლენილი მცხარეული ჭეშხვალა, მას ქუჩა-ქუჩა ატარებდენ და გამველელ-გამომველელ კეთილშობილთ აიძულებდენ დაესაჩუქრებიათ. მინდოდა თვალი მომეკრა, ვინაიდან არასოდეს წინათ არ მენახა და ვერ ვიცნობდი, მაგრამ გარშემორტყმული იყო ხალხით და ვერ დავინახე.

ამგვარად მიმიყვანეს მეფესთან, იქვე რკინის მარწუხები და მავთულები მოზიდეს ჩემს დასაშინებლად, ხოლო მე მათ შუა დამაყენეს. ამ სამარცხვინო სანახაობის დანახვაზე მრავალი სეფე-ქალი ატირდა ჩემი სიბრალულით; როცა მეფემ მის წინაშე დამდგარი დამინახა, თვითონაც თავისი ადგილიდან წამოდგა, შემზარავი სახით მომიახლოვდა და საშინელი ხმით დამიყვირა: — მამაშენსა და თქვენს აზნაურებს ჩემი მოსპობა უნდოდათ, შენ კი არ გსურს ეს აღიარო! მე კუპასუხე, რაც ვიცოდი ყოველივე გაცნობეთ, ხოლო რაც არ ვიცი, რა უნდა ვალიარო მეთქი. ამ პასუხით გააფთრებულმა მან ბრძანა გავეშიშვლებინე, ხელში მავთული აიღო, სხვებსაც თითო მავთული ჩისცა და დამიწყო ტიტველ ტანზე ცემა. თუმცა ჩემი სხეული არ იყო შეჩვეული ასეთ მოპყრობას, მაგრამ რადგან თვით მეფის ხელები დაბერენ, არც ტკივილი უნდა მეგრძნო და არც ცრემლები დამელევარა. შევბედე და მოვახსენე, თავს ამაოდ იწუხებთ, ჩემი ვალდებულებაა დაგემორჩილოთ, მაგრამ თქმით ვერაფერს გეტყვით მეთქი. ამის გაგონებაზე მეფე კიდევ უფრო გაწყრა, მავთული გადააგდო და მარწუხი აიღო, რათა ჩემი სხეული დაეწყლულებინა. როცა ეს მეფისთვის შეუფერებელი ქცევა დავინახე, შევევედრე: მეც შემიბრალეთ და თქვენ თავსაც ეკით პატივი, სრულიადაც ამდენი ტანჯვა არაა საჭირო სიმართლის გასარკვევად მეთქი; თქვენს ბიძას წამიყენეთ პირისპირ, ყველაფერი გამომქლავნდება თუ ის აღიარებს, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის რაიმე გვითქვამს ჩვენი ოჯახის ბოროტ განზრახვაზე თქვენს წინააღმდეგ მეთქი.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე შერცხვა, მარწუხი გაადაგდო და თავის უფროს ვაჟს გიორგის[1] უბრძანა, თავად პაატასთან წაიყვანე და ორივეს ერთად გამოკითხე. რა ლაპარაკი ჰქონდათ ერთმანეთში ჩემი მოკვლის შესახებო. ამრიგათ გამგზავნეს პაატასთან, მაგრამ გიორგი ბატონიშვილი არ გამომყვა, რადგან ამ საქმეში ჩარევა არ სურდა: ამიტომ იგივე თავადიშვილები გამყვნენ. როგორც კი პაატასთან შემიყვანეს, არაფის ლაპარაკი არ დავაცალე. მაშინვე ვკითხე, როდის იყო რომ ან თქვენ ჩვენთან, ან ჩვენ თქვენთან მეფის მკვლელობაზე გვეთქვას რამე მეთქი. მან მიპასუხა, ერთი ღმერთია მოწმე, რომ არც თქვენ, არც მე არაფერი გვითქვამს მის მკვლელობაზეო, თუ ეს მდომებოდა, ხშირად მქონდა ამის შემთხვევა, როცა ღამე ერთად გაგვათევია კარავში. მაგრამ ასეთი აზრი თავში არ მომსელია, არც თქვენ არაფერი გითქვამთ ამის

[1] ეს გიორგი მუდამ ლეშნებოდა თავის მამას, ღმერთის და კაცის კანონი დარღვევა და უსამართლოდ იქცეოდა. ამიტომ ყოველივის ნებდა გაშინოდეს, ხოლო შენი სიკვდილის შემდეგ არა თუ ტირილი არ შეგვრცხვებოდა, შეიძლება თავშესაფარიც ვერ ვეძებნოთ. ეს ბატონიშვილი ბევრს სულიერებდა, რომ ჩვენთვის ხელი არ ეხლოთ, მაგრამ ნაცი ჰყავდა, ბას არა თუ არ უჯერებდა, სიცოცხლითაც კარგობა მისი სათნო ხასიათისთვის.

მსგავსი, გარდა იმისა, რომ თქვენი მამა ამბობდა, თუ გაეჯანსაღები, შეურს ვიძიებ შეურაცხყოფისთვის, რომელიც მან მომაყენაო. ამაზე ჩემმა თანმხლებელმა თავადიშვილებმა უთხრეს: ეს არაა სწორი, გუშინ სულ სხვას ამბობდი, თავადმა პაატამ უპასუხა: გუშინაც და ყოველთვის ამას ვიმეორებდი, ხოლო თუ ცოტა რამ ვალიარე, მხოლოდ იმიტომ რომ ორი დღე და ღამეა მტანჯავთო.

ამ საუბრის შემდეგ ხელახლა წინანდელ ბინაზე წამიყვანეს და მცველები მომიყენეს; კითხვით კი არაფერს მეკითხებოდენ; მეფეს მოახსენეს, ვერაფერი ალმოვუჩინეთ ისეთი, რომ ამილაბერეს სიკვდილით დასჯა გაამართლოსო. პატიმრობაში ორი კვირა გავატარე, ამ ხნის განმავლობაში დახოცეს მეფის ბიძა და ბიძაშვილი, ხოლო თავადი თაქიაქიშვილი, ოთხმოცი წლის ბერიკაცი, რომელმაც სთქვა, მიკვირს, როგორ დაივიწყეს ქართველებმა თავიანთი უფლება და პატივმოყვარეობა და დღემდე ამ გაბეზებულ ავაზაკს არ ამოვებენო, დასწვეს; ამ უკანასკნელის ვაჟს ხელი მოსჭრეს და თვალები დასთხარეს; მოაკლეს ავრეთვე ერთი ჩვენი აზნაური, რომელმაც პირველად ჩვენება მისცა მათი ბოროტმოქმედებისამებრ, ხოლო შემდეგ აღიარა, უსამართლოდ ვილაპარაკე ძალდატანების გამოო. ამავე დროს მამაჩემი, როგორც წარჩინებული პირი, ქართული ადათის მიხედვით სასახლეში იმყოფებოდა საპატიო პატიმრად, მაგრამ მე არ ვიცოდი რა მოუვიდა მას; მხოლოდ ყოველთვის მარწმუნებდენ, ცოცხალიაო.

როცა ვისი დახოცვაც სურდათ, დახოცეს, მღვდელი მომიგზავნეს აღსარების სალაქმელად: მარწმუნებდენ შენც მოგკლავენო, უნდოდათ ამ გზით მაინც გამოვტეხილიყავი, მაგრამ არაფერი ვიცოდი, რაში უნდა გამოვტეხილიყავი. ამის შემდეგ, მეფის ბრძანებით, ერთი ვაჭრის ბინაზე გადამიყვანეს, სადაც ჩქარა ექიმი შემოვიდა დიდი სამართებლით აღჭურვილი: მე კიდევ არ მესმოდა რას მიპირებდენ. გამომიცხადეს, მარცხენა ფეხზე დიდი ძარღვი უნდა გადაგიჭრათ და ამასთანავე სახეც უნდა დაგიმახინჯოთო. ტალანში დამსვეს და ყოველივე დაპირებული შემისრულეს. ჩემი მასპინძელი ვაჭარი ატირებულიყო და იმ თავადებისთვის ეთხოვა, ჩემი სახლში ნუ დაღერეთ ამ ჯაბუკის სისხლსო; ხოლო ამათ ეპასუხათ, ყოველივე გათავებულია, ახლა რაღას გვთხოვო; ჩემს მასპინძელს ვერაფერი გაეგო, რადგან მე დაყვირებაც ვერ მოეასწარი, გული წამივიდა. ჩემთან ერთად ერთს ჩემ თანმხლებ თავადიშვილსაც წასვლოდა გული, სხვებიც თერმე გულისტკივილით ამბობდნენ, ასე წვალებას ისევ ის სჯობდა, მოგვეკლაო. ამ ტანჯვის დროს ხელები შეკრული მქონდა, გათავების შემდეგ შემიხსნეს, მხოლოდ პირი შარფით შემიხვიეს, ხოლო ფეხი წინდით. ყველას ეგონა, რომ მოვკვდებოდი, ხოლო თუ ვიცოცხლებდი, სიარულს ველარ შევძლებდი. როცა ეს მტარვალობა დასრულდა, ჩემთვის საგანგებოდ განმზადებულ ლოგინში ჩამაწვინეს და მეფესთან წავიღენ მოსახსენებლად.

რამდენიმე საათის განმავლობაში თითქოს უგრძნობლად ვეგდე, ჩემს საწოლთან ვაჭრის ცოლი იჯდა და რაღაცას მეკითხებოდა, მაგრამ თვალებდახუჭული ვიყავი და არაფერს ვპასუხობდი, იმიტომ კი არა, რომ გულწასული ვყოფილიყავი, არამედ იმიტომ, რომ ეს ქვეყანა ჩემთვის საზარელი გახდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი სახლიდან, რომელიც ტფილისში გვქონდა, ორმა ახალგაზრდა ქალმა მოირბინა ტირილით, მე ჩემი მდგომარეობა დამავიწყდა და მათ მამისა და ძმების ამბავის გამოკითხვა დავიწყე. მიპასუხეს, ისინი ყველანი ცოცხლები არიანო. ამის შემდეგ სამი კაცი მოვიდა, მათ შორის ჩემი ალმზრდელი,

მხოლოდ ისინი დაეტოვებიათ მამაჩემისთვის სამსახურის გასაწევად, იმათაც დამიდასტურეს მამაშენი ცოცხალიაო, შემდეგ მწარედ იტირეს და მამაჩემთან წავიდენ ამბავის საუწყებლად.

ბოლოს მწარე ქვითინით ჩემთან მოირბინა ჩემმა იოანემ, რომელსაც ეგონა, ეგ გამიშვეთო და გამოეშვათ. ვინაიდან მას ისე სასტიკად არ დარაჯობდენ. მაშინ უკვე ყოველივე მოთავებული იყო და ჩვენი სამკვიდროცა და ციხეებიც მათ ხელში იყო: იმ ღამეს, როცა ჩვენ თავს დაგვესხენ, საამილახვროში ჯარი გაგზავნეს და ყოველივეს დაეუფლენ; ჩემი ძმა ჩემთან დარჩა და მის ხელებს ისე შევეჩვიე, რომ მის გარდა არავის შეეძლო ჩემი ჭრილობების შეხვევა; ექიმს კი ჩემთან არ უშვებდენ. პირველ დღეს სიკვდილის პირას ვიყავი და მართლაც ჩემი ჭრილობები სასიკვდილო იყო. მაგრამ ღმერთმა ცოცხალი, ან უკეთ ვთქვათ, ცოცხალ-მკვდარი დამტოვა.

მეორე დღეს ერეკლე მეფემ ერთი კაპუცინელი პატერი გამომიგზავნა, რომელიც დახელოვნებული იყო ექიმობაში. მაგრამ გამომიგზავნა არა ჩემს მოსარჩენად, არამედ იმის გასაგებად, კარგად მქონდა გალაჭრილი ფეხის ძარღვი თუ არა. ამ პატერმა ფეხი გამისინჯა, ძარღვების მდგომარეობა შეამოწმა და მეფეს შეატყობინა, არავითარი იმედი არ არის, რომ იცოცხლოს, ვინაიდან ფეხებში არც ერთი ძარღვი არ დაუტოვებიათ გადაუჭრელი. და ღაამშვიდა მეფის მკაცრი გული, რომელიც ღვთის ხელში უნდა იყოს. მაშინ კი არ ვიცი, ვის ხელში იყო. ამრიგად მე უმკურნალოდ დამტოვეს.

ამის შემდეგ ერთმა ჩვენმა მსახურმა, სახელად თამაზმა, გამონახა ცალაც დედაბერი, რომელიც საოცრად ჰკურნავდა უბრალო წამლებით; ორმოცი დღის განმავლობაში ისე გამაჯანსაღა, რომ ფეხზე დადგომა შევძელი; მაგრამ ეს წამლობა ფარულად ხდებოდა ჩემი მეგობრების ოჯახში, სადაც დიდი მზრუნველობით მეპყრობოდენ. ნახევარი წლის შემდეგ ირაკლიმ გაიგო ჩემი გამოჩრთელების ამბავი, ჩემი მასპინძელი მიიწვია და ჰკითხა, მართლა დადის თუ არაო? მას თავდაპირველად არ უნდოდა გამოტეხილიყო, მაგრამ დაშინდა და უთხრა, დადის ისევე, როგორც წინათ დადიოდაო. მეფეს ეს ამბავი დიდად ეწყინა. მაგრამ მტარვალობასაც საზღვარი აქვს და ის კაცი შინ გამოისტუმრა უვნებლად.

არ გასულა დიდი ხანი და მე და ჩემი ძმები მამაჩემთან მიგვიყვანეს, მცველები მოგვიყენეს და ხუთი წელიწადი პატიმრობაში გაგვატარებინეს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მწუხარება განვიცადეთ. აქ ზედმეტად მიმაჩნია ყოველივეს გახსენება. ხუთი წლის შემდეგ მე შემთხვევა მომეცა განთავისუფლებულიყავი ამ ტყვეობისგან; ქალაქებში შავი ჭირი გაჩნდა და ვისაც შეეძლო სოფლად გაიხიზნა. ჩვენ კი ტფილისში დაგვტოვეს, ვინძლო ჭირმა დახოცოსო. მაგრამ ღმერთმა გვიხსნა და ყველანი გადავრჩით.

ერთ დღეს მე და ჩემი ძმა იოანე ეფისკოპოსთან ვიყავით სტუმრად, ჩვენი ბინის მახლობლად, და ვსაუბრობდით, რომ მოულოდნელად დიდი სროლის ხმა შემოგვესმა. ჩვენმა მასპინძელმა მსახური გაგზავნა ამბის გასაგებად. როცა მსახური დაბრუნდა, გვიამბო. თქვენი დამბეზღებელი ახლად მოვლენილი ევანგელისტის სახლისთვის ცეცხლი წაუკიდიათ, მთელი ქალაქის მცხოვრებთ იქ მოუყრიათ თავი და თოფის სროლა აუტეხნიათო. საქმე ისაა, რომ შავი ჭირი პირველად იმ სახლში გაჩენილიყო, ქართველებს კი საუკეთესო ღონისძიებად ამ

ენის გავრცელების წინააღმდეგ ცეცხლის წაკიდება და თოფის ხმოვანი შიაჩნიათ. ამ სიტყვების გაგონებისთანავე ეფისკოპოსმა ხელები აღაპყრო და მადლობა შესწირა ზეციერ მსაჯულს.

როცა გავიგეთ, რომ წმინდა ევანგელისტს ასეთი არაჩვეულებრივი ამბავი შეემთხვეოდა, დიდათ გავოცდით და ვთქვით. ნუ თუ ღვთის ადამიანებსაც ემართებათ ასეთი უბედურება თქო. შემდეგ გვიამბეს, რომ იგი ქალაქიდან გააძევეს და მინდორში დაიღუპა მთელი თავისი ოჯახითო. შემდეგ იმასაც ამბობდენ, რომ მიწამ არ მიიღო მისი განუხრწნელი გვამი, სანამ თავი არ მოსჭრეს და პატრონსან ადგილს არ დასდესო; ესეც გასაკვირლად გვეჩვენა, რომ ასეთი უდიერი ხმა ვრცელდებოდა ესოდენ სახელოვან კაცზე.

რადგან მთელ ქალაქს შავი ჭირი მოვდო და ყველანი გაიხიზნენ, ჩემს ძმას ითხოვს წინადადება მიეცა, ჩვენც გავიქცეთ მეთქი. მაგრამ მამას არაფერი გაეგებინა, რადგან ვიცოდით, არ გაგვიშვებდა. დაუფარავად მოვედით ქალაქის კარიბჭესთან, სადაც წინააღმდეგობა ვერ გაგვიწიეს და გაგვიშვეს; მაგრამ მაშინვე ქალაქის მოურიეს შეატყობინეს. მას მტკიცედ ჰქონდა ნაბრძანები ჩვენი ოჯახის წევრი არავინ გაეშვა ქალაქიდან, ეს ბრძანება განსაკუთრებით მე და მამაჩემს შეგვეხებოდა; რაც შეეხება ჩემს ძმას, მას ისე მკაცრად არ ეპყრობოდენ, და ჩვენი დარბევის შემდეგ იგი ერთხელ უკვე იყო იმერეთში. მოურავმა მდევარი გამოგვიყენა და უკან დაგვაბრუნა. დაბრუნებისთანავე მამაჩემთან მოვედით, მაგრამ მას არაფერი გაუგია ამ ამბის შესახებ.

მეორე დღეს ჩემი ძმა ითანე ხელახლა გაემგზავრა; მას ცხენიც ჰყავდა და შეიარაღებულად იყო და არც აკრძალული ჰქონდა ქალაქიდან გასვლა. მე მას ვეთხარი, როგორც კი ტფილისს თავს დავაღწევ, დაუყოვნებლივ უცხო ქვეყნებში გადაეხიზნები, რათა ვინმე მაინც გადარჩეს იმ ბოროტ ადამიანებს, რომელნიც ყოველთვის ჩვენს ამოგდებას ფიქრობენ მეთქი.

თვით ერეკლემ ჩვენი დარბევის შემდეგ ერთხელ ორი კარისკაცი გამოგვიგზავნა, მამაჩემს შემოუთვალა: ჩვენს შორის ხიდი ჩატყდა, შეუძლებელია ბისი ხელახლა გადება; თუნდაც ჩვენ მოხუცნი შევრიგდეთ კიდეც, ჩვენი შვილები ერთმანეთის წინააღმდეგ შურს იძიებენო; ამიტომ გირჩევთ, რომელიმე უცხო ქვეყანაში გადაიხიზნოთ ჩვენს ხარჯზეო.

მამაჩემი კარგად იცნობდა მის ორპირობას, დარწმუნებული იყო რალაც შიზეზს ეძებს ჩემს საბოლოოდ დასალუპავადო და მოკიჭულებს უპასუხა, თუ არჩევის უფლება მეძლევა, მე არსად არ მსურს ცხოვრება ჩემი სამშობლოს გარეთ, ხოლო თუ ძალით მაგდებს, სადაც მას სურს, იქ წავალო. მაგრამ სწორედ მისი წინადადება ამტკიცებს, რომ იგი თვითმპყრობელი არაა თავის სამეფოში და რამდენიმედ შეზღუდულია როგორც მსაჯულიც, ვინაიდან მიუკერძოებელი კაცისა არ უნდა ეშინოდეს, თუ იგი კანონიერადაა გასამართლებულიო.

ამ პასუხის მიღების შემდეგ ირაკლიმ ხელახლა შემოუთვალა, რაკი არ მიდისარ, ჩემი ბრალი არ იყოს, თუ ვინმემ მოგკლა აღევდარევის დროს, როცა სპარსეთიდან რაიმე მიზეზის ვამო ჯარი შემოდისო (მეფე ერეკლეს ყოველივე საფრთხე ელის სპარსეთიდან). ამის საპასუხოდ მამამ შეუთვალა, ჩვენი ურიდან მე არავითარ საფრთხეს არ ველი, აქ თქვენს მეტს ჩემთან არავის არავითარი საქმე არა აქვს, რაც შეეხება სპარსელებს, ახალი ამბავი არაა, რომ ისინი ხარჯს ითხოულობენ თავიანთი კანონებისა და ადათის ძალითო.

ჩემი ძმის იოანეს წასვლის შემდეგ მეც ვიპოვე შემთხვევა ტფილისიდან გავსულიყავი, ისე რომ არც მამაჩემისთვის მითქვამს, არც ჩემი უფროსი ძმისა გიორგისთვის, რომელნიც წინათ არ მირჩევდენ წასვლას, რადგან იმედი არ ჰქონდათ, რომ ცოცხალი გადავრჩებოდი; ორმაგი საფრთხე მელოდა, ერთი ლეკების მხრით, რომელნიც მუდამ თარეშობდენ გზაზე, ხოლო მეორეც ქართველების მხრით, რომელთაც ჩემი დალუპვა შეეძლოთ ირაკლის საამებლად. მაგრამ ამ ხიფათის მიუხედავათ მაინც გადავწყვიტე ტფილისიდან გაესულიყავი და ჩემი განზრახვა გავუნდე მხოლოდ ერთ ახალგაზრდა აზნაურს, სახელდობ ბენიამინეს, რომელიც იმჟამად მამაჩემს ემსახურებოდა. მივეცი ჩემი ნაბადი, ორი პერი და ყველის ნაჭერი, რაც მთელ ჩემს საგზალს შეადგენდა და ვუბრძანე, ქალაქს გარეთ დამიცადე ადგილად დასანახავ ადგილას მეთქი. მწუხრის ზარები დარეკეს, როცა ქალაქის კარიბჭესთან მივედი. მცველებს აზრათაც არ მოსულიათ, რომ ასე გვიან შორ გზას გაეუდგებოდი. ლაპარაკი ჩამოვაგდე შავ ჭირზე, რომელიც ქალაქში მძვინვარებდა. — ჩვენი ცოდვების დასასჯელად ესეც ცოტაათ, მიპასუხეს. სხვათა შორის ვეკითხე, კიდევ მუშაობს თუ არა ჭურჭლეულობის ქარხანა, რომელიც ქალაქ გარეთაა. ცოტა რამ მინდა ვიყიდო მეთქი, მიპასუხეს. იქ მუშაობა არ შეწყვეტილა, ყველაფერის შოვნა შეიძლებაო ამის შემდეგ ქარხნისკენ გავსწიე, მაგრამ იქვე ბენიამინესკენ გადავუხვიე, რომელიც შორიახლო მიცდიდა; ნაბადი, პურები და საგზალ ფეხსაცმელი გამოვართვი, პურები დავჭერი და ჯიბეში ჩავიდე. ბენიამინეს გამოვეთხოვე ტირილით და ვთხოვე, მამაჩემი არ მიატოვო მეთქი. იგი ქალაქში შებრუნდა, მე კი ჩემს გზას გავუდექი. ცოტა ხნის შემდეგ მარცხნივ გადავუხვიე, რათა ლაბნელებამდე მთას ამოვფარებოდი და არავის შევემჩნიე: შავი ჭირის შიშით ქალაქიდან გახიზნული მცხოვრებლები ახლო-მახლო ცხოვრობდენ კარვებში. როცა შახლობელი გორაკი გადავიარე, ეილაც ჯაკი დავინახე, პირუტყვს მწყემდა. მიცნო, კრიც ვიყავი, დამიწყო გამოკითხვა, რად ვაისარჯე და აქ რათ მოხვედი. მე ვუპასუხე, ქალაქში შავი ჭირი მძვინვარებს, პური გაძვირდა, ხოლო რადგან ჩვენ, როგორც იცი, მოსამსახურე ცოტა დაგვრჩა, იძულებული გავხდი თვით გამოვსულიყავი ქალაქიდან. აქ ჩემს მსახურს უნდა დავეცადო. მას წისქვილზე პური მიაქვს, ვეშინია არავინ წაართვას მეთქი. ჩემმა მოსაუბრემ ცრემლები ვერ შეიკავა, თავისი უბედურება გაახსენდა; ცოლ-შვილი დახოცოდა შავი ჭირით, ალარაფერი ალარ შერჩენოდა გარდა პირუტყვისა და თავის დღეებს ამ მინდორში ატარებდა უტოლამხანაგოდ.

ამ ცხარე ცრემლებით მტირალმა და საბრალო შესახედობის ადამიანმა, რომელიც ჩემი ამხანაგი იყო უბედურებაში, მეც გული ამიჩუყა და მეც ტირილით გამოვეთხოვე მას. თუმცა გზაზე ბევრი ადამიანი შევხვდა, მაგრამ არაფის ცნობა არ შეიძლებოდა წყვდიადის გამო: ყველა სახიფათო ადგილი გავიარე, ვფიქრობდი ამ ღამით ალარავინ შემაჩერებს მეთქი. მაგრამ, როცა კარგა მანძილი გაველი, ერთ დიდ მინდორში გავედი, რომელსაც ახლად ამოსული მთვარე ისე ანათებდა, რომ შორიდან შეიძლებოდა ადამიანის გარჩევა. აქ გორაკიდან შემაშფოთეს გუშაგებმა, რომელნიც, როგორც ეტყობოდა, იმისთვის იყვნენ დაყენებული, რომ ქალაქიდან არავინ გაეშვათ. დამიძახეს, ვინ მოდისო. შემდეგ იქიდან ძირს დაეშვენ, თან თათბირობდენ, დავიჭიროთ თუ ჯერ გამოვარკვიოთ ვინ არისო. მაგრამ ვერ მომიახლოვდენ შავი ჭირის შიშით, რადგან ხედავდენ

ტფილისიდან მოვდიოდი. შორიდან ვერ მიცნეს; რა გვარი ხარო მკითხეს, გვარი დავუმალე, ვეთხარი მოქალაქე ვარ, ტფილისიდან შავ ჭირს გამოვეკეცი, ზემო ქართლში მივდივარ მეთქი. დამიჯერეს, მხოლოდ გამაფრთხილეს, გზაზე ლეკები დათარეშობენ, მათ იშვიათად გადაურჩება ვინმე, ან მოგკლავენ, ან ტყვედ წაგიყვანენო; თუ მათ გადაურჩი, ზემო ქართლში სახლში არავინ შეგიშვებს, იქაც ეშინიათ გადამდები სენისო. მე გავიფიქრე, ოღონდ თქვენ გადაგირჩებოდე, სხვისი არავისი მეშინია, თქვენ ჩემთვის ლეკებზე უარესი ხართ მეთქი. მათ კი ვუპასუხე:—ვიცი, ყოველ მხრივ საფრთხე მომელის, მაგრამ უკან ვერ დავიხევ, ვინძლო ღმერთმა ინებოს, გზა უვნებლად გავიარო და ვინმეს შინ შემიშვას მეთქი. ამ ხერხით ის გუშაგები ისე მოვატყუე, რომ თვითვე დამარიგეს, ღამით იარე ჩქარის ნაბიჯით, ხოლო დღისით დაიმალე, რათა ლეკებმა არ შეგამჩნიონ. მადლობა ვუთხარი და გავშორდი, მაგრამ რამდენიც არ ვეცადე მათი დარიგებისამებრ ჩქარებით მევლო, ვერ შევძელი: ფეხების სისუსტის გამო ცუდი მოსიარულე ვიყავი და არც გამოცდილება მქონდა, რადგან არასოდეს ამოდენა გზა ფეხით არ გამივლია; ამას გარდა ქარი ამოვარდა და პირდაპირ სახეში მცემდა. საშინლად მომწყურდა, მაგრამ ვერსად ახლომახლო წყალი ვერ ვიშოვე. მთელი მინდორი გავიარე და მდინარე მტკვრის ნაპირს მივადექი, მაგრამ ქვიანი და მალალი ნაპირები დიდი ხეებით იყო დაბურული და წყლის ამოღება ძნელი იყო. ცოტა ზევით შევეხვიე, ბილიკი აღმოვაჩინე, მდინარის პირას დავეშვი და წყლის დალევა დავაპირე, რომ მარცხნივ ხის ქვეშ ადამიანი დავინახე, რომელსაც თითქო ეძინა. ეადავწყვიტე უსათუოდ ლეკია მეთქი; ჩვენები ვერ ბედავენ ასეთ ადგილას ღამის გათენას. პირველი ჩემი აზრი გაქცევა იყო, რადგან არავითარი იარაღი არ მქონდა გარდა ჯოხისა და ამასთან შებმა არ შემეძლო. უკან-უკან წამოვედი ხერვით. თვალი არ მომიშორებია, საბამ დიდ გზაზე არ გამოვედი. იგი არ განძრეულა, ალბათ მართლაც ლეკი იყო მძიმედ დაჭრილი. ლეკებს ჩვეულებად აქვთ, რომ თავიანთ დაჭრილ ამხანაგებს მდინარის პირას სტოვებენ სასმელ-საჭმელით: თუ გამომრთელდა, თავის ამხანაგებს მოსძებნის დანიშნულ ადგილს, ხოლო თუ მოკვდა, მხეცებისა და ფრინველების ლუკმა გახდება. დიდი გზაზე ყარგა მოზრდილი მანძილი გავიარე, მეორე ბილიკი აღმოვაჩინე მდინარისკენ მიმავალი, ნაპირისკენ დავეშვი, წყალი დაველიე და ცოტათი დავისვენე. იმ ღამითვე მივალწიე მცხეთის მონასტერს, ოთხი მილის მანძილზე ტფილისიდან. ამ მონასტერში საქართველოს პატრიარქი ცხოვრობს.

მონასტრის პირდაპირ მდინარე მტკვარზე ხიდი იყო გადებული, თუ ამ ხიდზე გავიდოდი, მოკლე გზით მივიდოდი იმ სოფელში, სადაც ჩვენი ოჯახი და ჩემი პატარა დები და ძმები ცხოვრობდენ; მაგრამ მცველების შიშით არ შემეძლო ხიდზე გამევლო. ამიტომ გვერდი ავუარე, გზიდან გადავუხვიე და ბუჩქებში ჩავწექი, რადგან უკვე დილის ცისკარი ახლოვდებოდა; მაგრამ როცა გამომელვიძა, შევამჩნიე, რომ გზის პირას ვიწექი და ყოველ გამვლელ-გამომვლელს შეეძლო ჩემი დანახვა.

მზე უხვად ანათებდა. წამოვდექი და დავიწყე ადგილის ძებნა, სადაც შეშეძლო დალამებამდე დავმალულიყავი; მაგრამ სამალავის ძებნაში მთელი დღე ვიარე და უკვე ბინდდებოდა, როცა სოფელს გომს მივალწიე; შიგ არ შევედი, მხოლოდ ყანაში ჩავცუცქდი და ცოტაოდენი დანაყრების შემდეგ ჩავიძინე. გათენებისას იმ სოფელს მივუახლოვდი და რუზე ბირი გავიგრილე ანკარა

წყლით. იელისი იდგა, უცხელესი თვე. როცა საქართველოში საცხე 42 გრადუსს აღწევს.

როცა კარგად გათენდა, ხელახლა გზას დავადექი, მაგრამ შორიდან ფრთმა კაცმა დამიხახა; ყანას რწყავდა. — ვინ ხარ, საიდან მოდიხარო, დიმიტანე, ვუპასუხე, ტფილისიდან მოვდივარ მეთქი. დიდად გაუკვირდა, როგორ ბედავ, რომ ჭირიანი ქალაქიდან მოდიხარ და ჩვენს სოფელს გვერდს არ უქცევო; ფეხს აუჩქარე, თორემ მცხოვრებლები გაიგებენ, გამოცვივდებიან და თოფის სროლას აგიტეხენო. მე დავუძახე, თუნდაც ბევრი მეპატიჟოთ, სოფელში მაინც არ შემოვალ და ამ გზაზე სიარულს კი ვერავინ ამიკრძალავს მეთქი.

მივედი სოფელ მეტეხში, სადაც საპატრიარქო აზნაურები ცხოვრობენ, მათ შორის ჩემი მეგობარი სოლომონი, რომლის იმედი მქონდა, ცხენს მათხოვებს და ჩვენთა სოფლის სახლამდე მიმაცილებს მეთქი. მაგრამ შორიდანვე დავინახე, რომ მეტეხელებს ორმოცამდე ურემი ბარგი-ბარხანით დაეტვირთათ და მეზობელი სოფლისკენ მიდიოდენ. ეს რას ნიშნავს მეთქი, ვკითხე ეილაც მწყემსს — აქაც ჭირი გაჩნდა და იხიზნებიანო.

რადგან არ მინდოდა ზემოხსენებულ აზნაურს გზაზე შევხვედროდი, გადავუხვიე, მოლში ჩავწექი და ლაპარაკი დავუწყე მწყემსებს, რომელთაც არ შეეძლოთ ჩემი ცნობა. ურმების გატარების შემდეგ წამოვდექი და მახლობელ სოფელში მივედი, რომელიც წინათ ჩვენ გვეკუთვნოდა. მაგრამ როგორც კი იქაურმა მცხოვრებლებმა მეტეხის მხრიდან მიმავალი დამინახეს, საშინელი ლრიალი ასტეხეს, და ჩემკენ გამოიქცენ. მე გზიდან გადავუხვიე და სოფელს ვავშორდი. ჩემს გამოდევნებას თავი დაანებეს, მაგრამ თოფის სროლა ამიტეხეს, ვინაიდან შავი ჭირით დაავადებული მეტეხის მცხოვრები ვეგონე. სოფლის მოშორებით ერთი დიდი არხის ნაპირას დავჯექი და ფიქრებში წავედი: — რა ცვალებადია წუთისოფელი, როგორ ბეჩავ მდგომარეობაში ვიმყოფები! გამახსენდა ბავშვობა, როცა ამ სოფელში გამიტარია დედამამასთან ერთად. რა სიხარულით გვხვდებოდენ მაშინ იქაური მცხოვრებლები, როგორ სცდილობდენ ჩვენთვის ესიამოვნებიათ, როგორ ეჯიბრებოდენ ერთმანეთს თავაზიანობაში! ჩვენც არ ეტოვებდით მათ დაუჯილდოებლად. ახლა კი როგორ შეხვდენ? მაგრამ მე მაინც თავი გავიმხნევე, გულში კიდევ ხსნის იმედი ღვიოდა.

ოლტოდენი დასვენების შემდეგ შევეცადე როგორმე არხზე გადავსულიყავი. მისი სიგანე საქენს უდრიდა, სიღრმე ორსა; მაგრამ წყალი ზიგ მხოლოდ ფეხლამდე აღწევდა. ჩავცოცდი, გადავტოპე, მაგრამ რადგან მეორე ნაპირას ატოტება გამიჭირდა. ჯობით საფეხურები გავიკეთე და ისე ავედი. მთელი დღე დიდ გზაზე ვიარე. ალარ გამხსენებია პირველი ღამის გუშაგების დარიგება. გავიარე ერთი სოფლის მახლობლად, რომელიც წინათ ჩვენ გვეკუთვნოდა; მინდორში ერთი ბავშვი საქონელს სცავდა, როგორც კი დამინახა, გადაიხარხარა. ნელა იარე, არ წაიბორძიკოო. მეც მწარედ გამეცინა.

იმ სალამოს ქალაქ გორის მახლობელ სოფელში მივედი, იგი რიცხეთ მეექვსე იყო მცხეთის მონასტრიდან. მინდოდა მტკვარში გავსულიყავი. ნაპირზე ჩამოვჯექი და ფეხსაცმელის გახდა დავიწყე. მეორე მხრიდან მდინარეს მხედარი მოადგა, რომელიც ქალაქიდან გამოსულიყო. თუმცა წყალი წელამდე აღწევდა, მაგრამ ტალღების სიჩქარის გამო ცხენს ძლიერ გაუჭირდა გამოცურვა. მაინც გადავწყვიტე წყალში შევსულიყავი. რომ უცებ მოვიხედე და ორი

დიდი ურემი დავინახე, ვიცანი, მეურმეები ჩვენი ნაცნობები იყვნენ, ეძახეს, მეც დამსვით მეთქი. თავაზიანად ნება დამრთეს. ერთი ურემი პურით იყო დატვირთული და შიგ ოთხი ხარი ება, მეორეზე დავჯექი. შუა მდინარეს. ...ეცალწიეთ, სწრაფმა და მძლავრმა ტალღებმა ჩვენი ურმები დაარღვია და გადატანა. ჩემთან მჯდომარე ადამიანები ცურვით გამოუდგენ ურმის ბორბლებსა თუ სხვა ნაწილებს, ამავე დროს მამხნევებდნენ, ნუ გეშინია, ჩვენც შენთან ვართო. წყალმა რამდენჯერმე კინალამ წამაქცია, მაგრამ ბოლოს დიდი გაჭირვებით მეორე ნაპირზე გავედი, ფეხსაცმელი ჩავიცვი, მეურმეებს მადლობა ვუთხარი და გამოვემშვიდობე. ქალაქშიც შეგიყვანდენ, მაგრამ რადგან იქ მრავალი წარჩინებული პირი ცხოვრობდა, არ მინდოდა მათთან ერთად შეეხულიყავი ურმით. გზაზე ერთი ამაღლებული ადგილია, იქიდან მთელი ქალაქი გორი სჩანს. გულისტკივილით ვუცქეროდი ამ ქალაქს, გამახსენდა ჩვენი წინანდელი იქ ყოფნა და დროს ტარება. მერე პირი ვიბრუნე. მინდოდა იმ ღამესვე ჩვენს სახლში მივსულიყავი, სადაც ჩემი უმცროსი დები და ძმები მეგულებოდნენ. გორიდან ჩვენ სოფლამდე მხოლოდ სამი მილია, მაგრამ რადგან გზა კარგად არ ვიცოდი, დავიბენი ღამის წყვდიადში. ხელახლა ქალაქ გორისკენ გავბრუნდი, ერთი არხის პირას დავჯექი, ცოტათი დავნაყრდი და დავიძინე.

გათენებისთანავე დიდ გზას დავადექი და, თუმცა ბევრი არასასიამოვნო ქართველი კაცი შემხვდა, მაგრამ უვნებლად თავი დავაღწიე მათ კითხვებსა. ამრიგად ტფილისიდან ჩვენს სახლამდე გზას ოთხი დღე მოვანდომე; შინ ჩემი პატარა და-ძმანი დამხვდნენ, ისინი მე არ მინახავს ჩვენი დარბევის შემდეგ. ახლა არ შეგიძლია ავწეროო, როგორ შევხვდით ერთმანეთს, ადამიანი სრულიად განძარცვული უნდა ყოფილიყო გრძნობისგან. რომ ჩვენი უბადრუკი და საწარცხვინო მდგომარეობა დაენახა და ცრემლები არ დაეღვარა.

როცა ტირილს მოვრჩით, ჩემი უფროსი ძმის იოანეს ამბავი ვიკითხე. იგი ჩემზე ადრე გამოვიდა ტფილისიდან. მითხრეს, ზემო ქართლში წავიდა იქაურ აზნაურებს შორის ხორბლის შესაგროვებლად, რადგან მეფე არაფითარ ხარჯს არ გვაძლევს და მამულებიც ჩამოგვერთვაო. მაშინვე მასთან წასვლა გადავწყვიტე: სიარულისგან საშინლად დაღლილი ვიყავი. ფეხებზე ფარჩხილები მომძვრა, სახეზე ქარიანა და სიცხისგან კანი დამისქელა. მაგრამ რაღგან არავინ მყავდა. რომ მისთვის ჩემი ტფილისიდან თავის დაღწევის და ეცხოეთში გასამგზავრებლად მზადების ამბავი მეუწყებია, იმ ღამესვე გზას გავუდექი.

თან წავიყვანე ჩემი უმცროსი ძმა ნიკოლოზი და გორისკენ დავბრუნდი. მთელი ღამე ვიარეთ, ხოლო დილით მივედი ერთ ნათესავთან, რომელიც ამ ქალაქის მახლობლად ცხოვრობდა მიფარებულ ადგილას (სადაც ხშირად ლეკები მოდიან ზემოხსენებული ქალაქიდან ადამიანისა და პირუტყვის გასატაცებლად). მე აქ დავრჩი, ხოლო ჩემი ძმა ქალაქ ცხინვალში გავგზავნე ჩემი ძმის იოანეს მოსაძებნად და ჩემთან მოსაყვანად, მათს ლოდინში მთელი დღე და ღამე გავატარე.

მეორე ღღეს ნაშუადღევს მოვიდა ჩემი ძმა იოანე, რომელიც დიდად გაჯერებული და გახარებული იყო, რომ მე თავი დავაღწიე ტფილისიდან. ერთმანეთს გადაეხვიეთ, შემდეგ ორივენი მის ცხენზე შევჯექით და იმ სოფლისკენ გავემგზავრეთ, სადაც უმცროსი ძმა გველოდა ერთ აზნაურ, სახელად ბარამთან ერთად, რომელსაც კიდევ სხვა ცხენი ჰყავდა სანოვაგით. იქ ვივახშმეთ და

იმ ღამესვე ამ სანოვაგით ჩვენს სახლში დავბრუნდით. მაგრამ იქ დიდხანს არ დავრჩენილვართ, ზემო ქართლისკენვე წავედით ქალაქ ცხინვალში. რომელიც შორს არაა იმერეთის სამეფოდან. იმედი გვქონდა, რომ იქ დახმარებას მივიღებდით იმერეთის მეფის სოლომონისგან.

ცხინვალიდან ზემოხსენებული ბარამი ტფილისში გავგზავნეთ, რათა იქ ბენიამინე შეეცვალა მამაჩემისა და ჩემის ძმის სამსახურში. ამ უკანასკნელს ჩვენთან ერთად უნდოდა უცხო ქვეყანაში გაქცევა. იგი ტფილისიდან მოვიდა და გვიამბო, რომ როცა თურმე ჩემი გაპარვა გაიგეს, მდევარი გამომიყენეს და დამეწეოდნენ კიდეც, თუ თვით ბენიამინეს არ შეეშალა. მამაჩემს ქალაქის მოურავისთვის შეეთვალა, ჩემი შვილი გაიქცა და რადგან მეშინია, რომ ლეკებმა არ მოკლან ან არ დაიჭირონ, გთხოვთ უკან დააბრუნოთო. ქალაქის მოურავს მეფისგან ნაბრძანები ჰქონდა მკაცრად დაეცავი და ამიტომ დიდი გულმოდგინება გამოიჩინა და მაშინვე მდევრები გამოუყენებია, რათა უკან დაებრუნებინეთ. მაშინ ბენიამინეს მათთვის გზაკვალის ასაბნევად ეთქვა. ქალაქის მახლობელ ბალებში ეძებეთ, იქ აპირებდა დამალვასო. შორს წასვლა ზედმეტიც არის და სახიფათოც მოთარეშე ლეკების გამოო. დაეჯერებინათ და მთელი ღამე ბალებში ეეძებნეთ, მხოლოდ დილით დაბრუნებულიყვნენ უკან ხელცარიელნი. ამრიგად გადავრჩი ბენიამინეს წყალობით.

ამასობაში ქართლში რაღაც საქმეების გამო მოვიდა იმერეთის მეფე, სოლომონი, ჩვენ მას ვეახელით და დახმარება ვთხოვეთ. გულმოწყალედ მიგვიღო და გვითხრა: მეფე ერეკლეს ორჯერ ვთხოვე თქვენთვის მამული დაებრუნებია. მან ალმითქვა, მაგრამ თავისი აღთქმა არ შეასრულა; ახლა თუ გნებავთ ჩემს სამეფოში გადაგიყვანთ და, დროებით სოფლებს მოგცემთ, ხოლო თუ ეს არ გსურთ, სადაც გინდათ, იქით გაგისტუმრებთო. ამისთვის დიდი მადლობა შევწირეთ და ვთხოვეთ, ყეთილ ინებეთ და სპარსეთის იმპერიაში გაგვიშვით, რათა იქ დახმარება და მფარველობა მივიღოთ ერეკლე მეფის წინააღმდეგ-თქო. მართლა იმჟამად სპარსეთში ნამდვილი ხელმწიფე კი არა, მხოლოდ მისი ვაქილი იყო, მაგრამ ამბობდენ, რომ იქ წინანდებურად ნამდვილი შაჰის არჩევას აპირებენო; ამიტომ ჩვენ იმედი მოგვეცა, რომ ჩვენი სამკვიდრო დაგვიბრუნდებოდა, ვინაიდან შაჰს შეუძლია არა მარტო ჩვენი ქონება დაგვიბრუნოს, არამედ ჩვენი დამრბეველიც დატუქსოს ჩვენი უდანაშაულოდ შეურაცხყოფისთვის.

ამრიგად ჩვენ იმერეთის მეფესთან სოლომონთან ერთად იმერეთში გადავედით. იქიდან მან ჩერქეზთ ბატონთან გაგვისტუმრა. თან წერილიც გაგვატანა, რომ რუსეთის საზღვრამდე გავეცილებინეთ. იქაც წერილები მისწერა მოზდოკის და ყიზლარის კომენდანტებს, მათაც სთხოვა, თავისუფლად გაუშვით რუსეთის იმპერიაშიო. ერთი სიტყვით, ჩვენ თავი დავალწიეთ ჩვენს ამწიოკებელს და სამმა ძმამ ორი მსახურითურთ ყველა ჩვენი საზღვრები გადავიარეთ უვნებლად.

მივალწიეთ ჩერქეზთ ბატონის სახლს, მაგრამ იგი შინ არ დაგვხვდა; გვითხრეს რუსეთის ქალაქს ყიზლარში წავიდა საჭირო საქმის გამოო. მაგრამ მისმა მეუღლემ კარგად მიგვიღო, სამი დღე და ღამე თავის სახლში გაგვაჩერა, ხოლო შემდეგ მოზდოკისკენ გაგვისტუმრა გამოცდილი გზის მაჩვენებელითურთ. მოზდოკის კომენდანტმაც კარგად მიგვიღო იმერეთის მეფის მოწერილობის წყალობით, შემდეგ მან ყიზლარში გაგვისტუმრა.

ყიზლარში მისვლისთანავე ვინახულეთ ზემოხსენებული ჩერქეზი ბატონი, რომელმაც ოგრეთვე კარგად მიგვიღო იმავე იმერეთის მეფის წერილის წყალობით და ჩემს ძმას იოანეს სამი ცხენი მისცა მისთვისა და მსახურთბოლის გარდა ამისა გზის მაჩვენებელიც უშოვა დარუბანდამდე, ვინაიდან ოთხმე სპარსეთში აპირებდა წასვლას. ჩვენს შესახებ კი კომენდანტს სთხოვა, უვნებლად მიიყვანეთ ასტრახანამდეო. ყიზლარში თხუთმეტი დღე დავრჩით. ძნელი იყო ჩვენთვის ძმის გაშორება, ესოდენ დაშორებულ და სხვადასხვანაირ ქვეყნებში ცხოვრება, მაგრამ მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა: ჩვენ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ, ჩემი ძმა სპარსეთისკენ წავიდა, ხოლო ჩვენ რუსეთისკენ. ბევრი ცრემლი დაგვაღვრევინა ჩვენმა ულმობელმა ფორტუნამ, რომელმაც ასე გაგვფანტა. ხუთი დღის შემდეგ მოვედით ასტრახანში და ის იყო ვოლგაზე გადმოვიარეთ და გუბერნატორის სახლისკენ გავემართეთ, რომ შენ შეგეყარეთ. დიდად ბედნიერად უნდა ჩაითვალოთ ჩვენი თავი, რომ ასეთს ადამიანებს შეგხვდით, რომელთაც გულთბილი დახმარება აღმოგვიჩინეთ, ჩვენი ისტორია მოისმინეთ და მონაწილეობას ღებულობთ ჩვენს უბედურებაში.

ამრიგად, ჩემო კეთილისმყოფელნო, მე თქვენ გიამბეთ ჩემი უბედური თავგადასავალი, გაგაცანით ჩემი ქვეყნის ადრინდელი და ახლანდელი ვითარება და გეტყვით, რომ თავს გავსწირავდი ჩემი სამშობლოსთვის, თუ იგი კეთილდღეობაში ყოფილიყო, მაგრამ ახლანდელი მისი მფლობელი, ჩვენი ირაკლი, მას არა თუ არ იცავს, პირიქით აწიოკებს. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კეთილშობილი ადამიანი, რომელიც მისი ბოროტების მსხვერპლი არ გამხდარიყოს, გარდა მისი თანაგანმზრახველებისა, მაგრამ არც უკანასკნელთ წყალობს ხანგრძლივად: როგორც კი შეატყობს, რომ ისინი გამდიდრდენ მის მიერვე დაკანონებული მძარცველობის შემწეობით, მათაც არბევს და მათ ადგილას სხვებს ირჩევს თავისი ანგარებიანი სურვილების გასახორციელებლად. ასე ატარებს თავის მეფობას. ხოლო თავისი ქვეყანა ისეთს სილატაკეში ჩააგდო, რომ უსახელოვანესი ერი უბედავს მდგომარეობაში იმყოფება, საქართველოს სამეფო კი დღეს უბრალო სამთავროდაც კი ვერ ჩაითვლება. რასაც მთელი იქ დაბანაკებული რუსის ჯარი დაამოწმებს გენერალიდან დაწყებული ჯარისკაცამდე. საშუხარია მხოლოდ, რომ რუსებს ჩვენი ქვეყანა არ უნახავთ ამ მისი დამრბეველის გამეფებამდე: დიდ განსხვავებას აღმოაჩენდენ მის წინანდელ და დღევანდელ მდგომარეობას შორის და შეიბრალებდენ სახელოვან ერს, დამხობილს მისივე თანამემამულეების მიერ. მაგრამ ჩემი ახლანდელი ბედნიერი მდგომარეობის მიუხედავად თავის თავს ბედნიერად ვთვლი და ზენაარსს მადლობას ვწირავ, რომ ჩემი მტრისაგან მიხსნა და ისეთს სახელმწიფოში მომიყვანა, სადაც დედოფალი მეფობს, ვითარცა ნამდვილი დედა გულმოწყალე, მზრუნველი და მფარველი თავისი ქვეშევრდომების; ამ ბრძნული მმართველობის ქვეშ სახელმწიფო ჰყვავის და მაღლდება ნეტარ მშვიდობიანობაში, საზოგადოება დაკმაყოფილებულია, ხოლო თვით დედოფლის სახელის ქება ცამდე აღწევს; მზეოვანნი მის მიერ უზრუნველყოფილი არიან, ყმანნი გამხიარულებულნი, ობოლნი გამოზრდილნი, ქვრივნი შენახულნი, მხედარნი გამხნევებულნი, ხოლო წინააღმდეგნი მის ფერხთ ქვეშ გართხმულნი; მისი მარჯვენა გაწვდილია იმათ საშველად, ვინც მისი უდიდებულესობის მფარველობას ეძიებს, ვითარცა ზეციდან მოვლენილ ხსნას ადამიანთა ტომის განსაცდელში.

აწ მეც მის ფერხთ ქვეშ ვვარდები და ვიმედოვნებ, რომ ყოველგან ბრძენი თქვენი დედოფალი მოწყალებას მოიღებს და ჩემზეც განაგრძობს ხაგის დედობრივ მზრუნველობას, თაკის მფარველობას არ მომაკლებს ეფემიერეს მთხოვნელს და თავის პორფირმოსილ ხელს გამომიწვდის, რათა ღირსეულად ვემსახურო, როგორც უკანასკნელმა ქვეშევრდომმა მის სახელმწიფოში და რათა საკუთარი სისხლით ავანაზღაურო მის სამეფოში ცხოვრების ბედნიერება".

ამის შემდეგ ორი თვე კიდევ ერთად ქალაქ ასტრახანში დავრჩით, ხოლო შემდეგ სატახტო ქალაქ მოსკოვში გავემგზავრეთ 1771 წელს დეკემბრის 21; ამ დღემდე მე თქვენ სრულად გიამბეთ ზემოხსენებული თავადი ალექსანდრე ამილახვარი-გეორგიანელის თავგადასავალი.

თარგმნილი **ბერძენი ქიქოძის** მიერ